ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

თბილისის აეროპორტთან სამარშრუტო ტაქსი სატვირთოს შეეჯახა

2 ადამიანი დაიღუპა, 13 დაშავდა

გვ.5

17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

პარასკევი, 20 დეკემბერი, 2019 №301 (8255) ფასი: 60 თეთრი

თბილისში ცოტნე გამსახურდია დაჭრეს

გვ.2

„სასწრაფო როცა მოვიდა, გონზე აღარ იყო, ჩვენს ხელში ჩაიკეცა“

მარიანა ჩოლოიანი ლუკა სირაძეს ძმისთვის პრობლემების შექმნით დაემუქრა

სახელმწიფო ინსპექტორი ლონდა თოლორაია გამოძიების დეტალებზე

გვ.2

გიორგი მშვენიერაძე: „პოლიციაში „დაკაჩავებები“ ისევ ხდება“

„ხელისუფლებებისთვის არჩევნებზე სკოლები ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია და ამიტომ არ აძლევენ მეტ თავისუფლებას“

გვ.3

მარიანა ჩოლოიანს ბრალი წარედგინა

საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 2 პირი



გვ.5

„საკმარისია, ივანიშვილი სადმე გაფრინდეს, რომ „ოცნება“ მაშინვე ჩამოიშლება“

გიგლა ბარამიძე: „ეს ხელისუფლება ნაცმოძრაობის უსახური დანამატი გახდა“

გვ.3



გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „დღეს ნაცმოძრაობა ძალიან წამგებიან ნაბიჯებს დგამს“

გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ქვეყნის მართვის სისტემა „ოცნებამ“ ნაციონალებისგან სრულად გადაიბარა“

ISSN 1987-9385

2 „ოცნება“ ოპოზიციას ახალ თემას შესთავაზებს

4 მეუფე გრიგოლი: „თავის მოკვლა გამოსავალი არასდროს არის“

5 რა წერია ლუკა სირაძის დედის ჩვენებაში

6 აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტ ტრამპს იმპიჩმენტი გამოუცხადა
იმპიჩმენტის პროცედურა სენატში გაგრძელდება

თბილისში ცოტნე გამსახურდია დაჭრეს

„სასწრაფო როცა მოვიდა, გონზე აღარ იყო, ჩვენს ხელში ჩაიკეცა“

გუშინ, 19 დეკემბერს, საღამოს, თბილისში, გალის ქუჩაზე, ცოტნე გამსახურდია დაჭრეს.

გულ-მკერდის არეში დაჭრილი ცოტნე გამსახურდია მე-9 საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

დაჭრამდე რამდენიმე საათით ადრე მან ფეისბუქში მწვავედ გააკრიტიკა სოზარ სუბარი.

შემთხვევა გალის ქუჩის 19 ნომერში, ზუსტად 19 საათზე მოხდა. ცოტნე გამსახურდია მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა. მისი 3 მეგობარი გამოკითხვაზე გადაიყვანეს.

შსს-ს ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება 19-108-ე მუხლით არის დაწყებული, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

თვითმხილველები ცოტნე გამსახურდიას დაჭრასთან დაკავშირებით დეტალებს ყვებიან.

ერთ-ერთი თვითმხილველი ჩხუბის ხმაზე გარეთ გამოვიდა და ცოტნე გამსახურდია დაჭრილი დაინახა, რის შემდეგაც მან პირველადი დახმარება აღმოუჩინა.

– ჩხუბი იყო, ხმაური მეტი არაფერი, მე არ შევსწრებივარ. გასროლის ხმა არ იყო, ჩხუბი იყო და ხმაური ძალიან დიდი. არ ვიცი, რამდენი ადამიანი იყო დაჭრის დროს. მე მგონი, ჯერ არავინ არ არის დაჭერილი.

როცა ხმაურზე გარეთ გამოვედი, დავინახე, რომ დაჭრილი კისრის არეში იყო. სასწრაფო როცა მოვიდა, გონზე აღარ იყო, ჩვენს ხელში ჩაიკეცა. ერთი ჭრილობა აქვს და თავის არე აქვს გახეთქილი.

თავდამსხმელები, როგორც ვიცი, გაქცეულები არიან, არ ვიცი, როგორ გამოიყურებიან ისინი. როდესაც გამოვედით ჩვენ აღმოვუჩინეთ პირველადი დახმარება, პირსახოცი დავამაგრეთ ჭრილობაზე.

საუბედუროდ, ჭრილობა დანით ან ბასრი საგნით აქვს მიყენებული. ჩხუბები უბანში ხშირად ხდება, მაგრამ ცოტნეს კონფლიქტი არ გამიგია, არ ვიცი, – განაცხადა თვითმხილველმა.

საღამოს საავადმყოფოსთან ცოტნე გამსახურდიას ოჯახის წევრები და ახლობლები შეიკრიბნენ.

ცოტნე გამსახურდიას ძმამ, კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა, რომ არ აქვს ინფორმაცია, ჰქონდა თუ არა ცოტნე გამსახურდიას რაიმე დაპირისპირება რომელიმე ჯგუფთან და მომხდარის შესახებ საუბარი უჭირს.

ინციდენტთან დაკავშირებით გაჟღერდა გვარი ბაჯელიძე, თუმცა ამასთან დაკავშირებითაც ოჯახის წევრებს რაიმე ინფორმაცია არ გააჩნიათ.

– მდგომარეობა არის მძიმე, დაჭრილია გულ-მკერდის არეში. ჯერჯერობით მთავარია, გავარკვიოთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და შემდეგ ვნახოთ, გამოძიება რა შედეგს დადებს.

წინასწარ, რაც არ ვიცი, იმაზე საუბრისგან თავს შევიკავებ. პირველადი მონაცემებიდან გამომდინარე, რაც მე მითხრეს, ეს არის დანისებრი ბასრი საგანი. არის საკმაოდ საშიში ჭრილობა და დაველოდოთ, რას იტყვიან ექიმები, – განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.

გაჩნდა ვარაუდი, რომ თავდასხმა უკავშირდება მის ხმაურიან პოსტებს ფეისბუკის გვერდზე და ასევე ზვიად გამსახურდიას საქმის გამოძიებას, რომელიც ამ დრომდე არ დასრულებულა.

– ცოტნემ შარშან დეკემბერში მე მითხრა, რომ ზუსტად ვიცი, რომ ჩემი ლიკვიდაცია შეიძლება ვიღაცის გეგმაში შედიოდეს და ზუსტად ვიცი, რომ მე ამის გამო აუცილებლად მომკლავენ.

ჩემს სიცოცხლეს ემუქრება საფრთხეო. მე მგონი, ამას ბევრი მარჩიელობა არ უნდა იმიტომ, რომ ის ითხოვდა მამის მკვლელობის გამოძიებას, – განაცხადა საზოგადოებრივი მოძრაობა „ლეელოს“ წევრმა ქეთევან ენუქიძემ.

„ეს ცირკი უნდა გაგრძელდეს“

ირაკლი ოქრუაშვილის პროცესზე ბრალდების მოწმეები დაკითხეს

თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ, 19 დეკემბერს, ირაკლი ოქრუაშვილის საქმეზე პროცესი გაიმართა.

სხდომაზე ბრალდების მხარის მოწმეები დაკითხეს. სულ გამოსაკითხია 400-მდე მოწმე. ოქრუაშვილის ადვოკატების თქმით, არც ერთი მათგანი ოქრუაშვილთან მიმართებაში ინფორმაციას არ ფლობს და უბრალოდ აქციის მონაწილეები არიან.

– მოდიან დაზარალებული პოლიციელები და მოვლენ კიდევ ასეთი პოლიციელები, რომლებსაც ირაკლი ოქრუაშვილი არ უნახავთ, არანაირი შეხება მასთან არ ჰქონიათ და ეს ცირკი უნდა გაგრძელდეს ისევ მომავალში. 400 კაცი ჰყავთ ასეთი, რომლებსაც ირაკლი ოქრუაშვილი არ უნახავთ, – ამბობს ადვოკატი მამუკა ჭაბაშვილმა.

ბრალდების მხარის თქმით, ერთ-ერთმა დაზარალებულმა სამართალდამცავმა განაცხადა, რომ მას აქციის დაშლის დროს შუბლის არეში თითქმის სამ კილოიანი რკინის ფირფიტა მოხვდა.

როგორც ირაკლი ჩხიკვაძემ განმარტა, მას ირაკლი ოქრუაშვილი არ დაუნახავს და ვერც მის ბრალეულობაზე ისაუბრებს.

– იმ ქმედებებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა და მონაწილეობას იღებდა ირაკლი ოქრუაშვილი, შედეგად მოჰყვა მათი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ზოგს დასჭირდა საზღვარგარეთ ოპერაციები და ა.შ., – განაცხადა პროკურორმა გიორგი მუკბანიანმა.

„ოცნება“ ოპოზიციას ახალ თემას შესთავაზებს

გუშინ, 19 დეკემბერს, პარლამენტში უმრავლესობის ფორმატში შეხვედრა გაიმართა, რომელზეც საორგანიზაციო საკითხებთან ერთად ოპოზიციასთან დაგეგმილ შეხვედრაზე იმსჯელეს.

როგორც მამუკა მდინარაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, გამორიცხული არ არის, „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციას რაიმე შესთავაზოს.

– ოპოზიცია ბოლოს უკვე საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში იყო, ფაქტიურად, ბოლოს გვეხვეწებოდნენ, ჩვენ გვთქვა მათთვის რაიმე მოთხოვნა, რომელსაც შემდეგ ისინი დაგვიყენებდნენ და ჩვენ დავეთანხმებით. არასერიოზული კი იყო ეს, ჩემი აზრით, თუმცა, შემდეგ შეხვედრაზე არ გამოვრიცხავთ, რომ გარკვეული ვერსიები ჩვენი მხრიდან წარვადგინოთ იმისთვის, რომ გამოირიცხოს ის გაუგებრობა, რაც ერთ შემთხვევაში იყო „გერმანული მოდელის“ წარმოდგენით, რაც არაკონსტიტუციური იყო, შემდეგ ავღანურ მოდელზე გადაჰყავდათ, რეალური, რაციონალური კონსტიტუციური წინადადებები ვერ შემოგვთავაზეს. ამიტომ პრაქტიკულად აზრს მოკლებული შეხვედრები რომ არ გაგრძელდეს, შეიძლება ჩვენ ვუთხრათ უკვე რაღაც, ამ საკითხზე იყო საუბარი.

სხვა თემაა, მე დღეს თემას არ დაგიკონკრეტებთ, ხვალ ვნახავთ, რა პასუხს მივიღებთ ოპოზიციისგან, ვფიქრობ რაღაც კონსენსუსის გზაზე ისევ შეიძლება ჩვენი წინადადებით დავადგეთ, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ჟურნალისტების კითხვაზე ხომ არ იყო საუბარი სისტემაზე – 100 პროპორციული, 50 მაჟორიტარული, მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ ვერც ერთ ვერსიას ვერ დაადასტურებს და კონკრეტულ თემაზე შეხვედრის შემდეგ ისაუბრებენ.

მარიანა ჩოლოიანი ლუკა სირაძეს ძმისთვის პროგლემების შექმნით დაემუქრა

სახელმწიფო ინსპექტორი ლონდა თოლორაია გამოძიების დეტალებზე

სახელმწიფო ინსპექტორმა ლონდა თოლორაიამ მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას 15 წლის ლუკა სირაძის თვითმკვლელობამდე განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა და გამოძიების შედეგები წარმოადგინა, რომელთა მიხედვითაც, დასტურდება, რომ არასრულწლოვნის გამოკითხვისას დაირღვა მისი უფლებები და ასევე გამომძიებლის მხრიდან იყო მუქარაც.

– დასტურდება შემდეგი გარემოებები – 2019 წლის 10 დეკემბერს „მწვანე სკოლის“ ადმინისტრაციამ აღმოაჩინა, რომ სკოლის შენობა მოხატული იყო და გაკეთებული იყო წარწერები, პირის იდენტიფიცირების მიზნით სკოლის ადმინისტრაციამ დაათვალიერა კამერები, ასევე, ამავე მიზნით დაიწყო ბავშვების გამოკითხვა ჯგუფურად და ჩანაწერზე აღბეჭდილი სურათის წარდგენა და პარალელურ რეჟიმში გამოძახებულ იქნა პოლიცია.

პოლიციის მისვლამდე ბავშვებთან კომუნიკაცია ჰქონდა სკოლის ადმინისტრაციას, სკოლის ადმინისტრაციამ პოლიციას გადასცა ჩანაწერები ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ასევე არასრულწლოვანთა კომუნიკაციის ამსახველი ჩანაწერები, – განაცხადა ლონდა თოლორაიამ.

ამის შემდეგ 187-ე მუხლით (სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება) დაიწყო გამოძიება, რომელიც დაეწერა გამომძიებელ მარიანა ჩოლოიანს.

დაიწყო მოწმეთა დაბარება, რომელთა შორის იყო ლუკა სირაძე.

– ის, მშობელთან ერთად, პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა 17 საათზე, არასრულწლოვანთან გასაუბრება ექვსსაათნახევარი მიმდინარეობდა და გაგრძელდა ღამის 12-ის ნახევრამდე. ვინაიდან პოლიციის განყოფილებაში არ არსებობს არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი სპეციალური ოთახები, გამოკითხვა მიმდინარეობდა ერთიან სივრცეში, სადაც იმყოფებოდნენ სხვა თანამშრომლები.

გამომძიებელმა მარიანა ჩოლოიანმა უთხრა ლუკა სირაძე, რომ არაღიარების შემთხვევაში მის ძმას შეექმნებოდა სასწავლებელში პრობლემები. დაუპირისპირა სხვა მოწმეები, რომელთა შორის იყო სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ასევე სხვა არასრულწლოვნები, არ იხელმძღვანელა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესებით და პრინციპებით, არასრულწლოვნებმა განიცადეს ძლიერი სტრესი.

ჩვენ მიერ გამოკითხვაზე იქნა დაბარებული მარიანა ჩოლოიანი და გამოკითხვის შემდეგ მიღებული იქნა დაკავების გადაწყვეტილება, – განაცხადა ლონდა თოლორაიამ.

პარლამენტმა საპროკურორო საბჭოს წევრად რევაზ მიქაბერიძე აირჩია

პარლამენტმა საპროკურორო საბჭოს წევრად რევაზ მიქაბერიძე აირჩია. მიქაბერიძის კანდიდატურის არჩევის თაობაზე დადგენილების პროექტს 80-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

პარლამენტს საპროკურორო საბჭოს წევრობის კიდევ ერთი კანდიდატურა ჰქონდა წარდგენილი, თუმცა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, თეა ხამხაძემ საკუთარი კანდიდატურის მოხსნასთან დაკავშირებით პარლამენტს განცხადებით მიმართა.

შესაბამისად, გუშინ, 19 დეკემბერს, პლენარულ სხდომაზე მხოლოდ რევაზ მიქაბერიძის კანდიდატურას უყარეს კენჭი.

საპროკურორო საბჭოს ერთ-ერთი ფუნქცია გენერალური პროკურორის კანდიდატურის შერჩევა და შემდეგ მისი პარლამენტისთვის წარდგენაა. გენერალური პროკურორის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც პარლამენტმა შალვა თადუმაძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დაამტკიცა.

ლიბიაში გათავისუფლებული მეზღვაურები გენადი კომახიძე და რომან კაკალაძე საქართველოში დაბრუნდნენ

ორწლიანი პატიმრობის შემდეგ ლიბიაში გათავისუფლებული მეზღვაურები სამშობლოში დაბრუნდნენ.

2017 წელს ტანზანიის დროშის ქვეშ მცურავი გემის კაპიტანი – გენადი კომახიძე და მეორე თანაშემწე – რომან კაკალაძე პატიმრობიდან 2 დღის წინ გაათავისუფლეს.

ისინი სასჯელს ქალაქ ტაჯურაში დამანის ციხეში იხდიდნენ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სტამბოლში მეზღვაურებს საქართველოს გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსული დახვდა.

– ძალიან ცუდ პირობებში ვიყავით. ყველას დიდი მადლობა, ვინც გვერდით გვედგა და ჩვენ გათავისუფლებაზე ზრუნავდა. მთელ საქართველოს ვუსურვებ იყოს ისეთი ბედნიერი, როგორც მე ვარ ახლა, – განაცხადა გემის კაპიტანმა გენადი კომახიძემ.

– რთული და მძიმე პერიოდი იყო ეს 2 წელი და 4 თვე. როგორც იქნა დასრულდა, დავაღწიეთ თავი და მადლობა მინდა გადავუხადო მედიას, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საზღვაო ადმინისტრაციას და ყველას, ვინც გვერდში გვედგა, – აღნიშნა „კურიერთან“ მეზღვაურმა რომან კაკალაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საკმარისია, ივანიშვილი სადმე გაფრინდეს, რომ „ოცნება“ მაშინვე ჩამოიშლება“

გიგლა ბარამიძე: „ეს ხელისუფლება ნაცმოძრაობის უსახური დანამატი გახდა“

მარიამ მჭედლიშვილი

15 წლის ლუკა სირაძის დაღუპვაზე ხელისუფლებაც საუბრობს. პრემიერი გიორგი გახარია ამბობს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის გამოძიებამ კითხვები არ უნდა დატოვოს. გამოსწორდება თუ არა ვითარება სამართალდამცავ ორგანოებსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში? რატომ არის დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილის მმართველობის პირდაპირი სამართალმემკვიდრე და დანამატი? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი-საქართველო-დემოკრატიული მოძარობის“ გენერალურ მდივან **გიგლა ბარამიძეს**.

– პრემიერი გიორგი გახარია იმედოვნებს, რომ ლუკა სირაძის საქმეს ბოლომდე გამოიძიებენ. მანვე დავალებები მისცა მთელ რიგ სამინისტროებს. იქნებ, თავიდანვე უნდა გაეტარებინათ ფუნდამენტური რეფორმები, რომ აქამდე არ მივსულიყავით?

– რეფორმები გასატარებელი იყო, მაგრამ ესენი რა რეფორმების გამტარებლები იყვნენ?! ან სიტყვა როდის შეუსრულებიათ? არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რას ამბობს გახარია. მის დაპირებებს ფასი არა აქვს.

ასე ვიტყვი – ამ სექტამ ოფიციალურად გადმოობარა და გადმოიფორმა სააკაშვილის სასამართლო სისტემა. ხომ არაფერს ვიგონებ? ეს ახლახან ოფიციალურად მოხდა. ე.წ. „ქართული ოცნება“, რომელსაც იზუვერული სექტა შევარქვი, ყოველთვის ნაციონალური მოძრაობის დანამატი და საქმის გამგრძელებელი იყო. ეს ხელისუფლება არ არის. ეს სექტა დგას ერთი კაცის 5 მილიარდზე. არიან ადამიანები, რომლებიც ენაგადმოგდებულები ელოდებიან თავის ულუფას ამ ფულიდან. ეს ისეთი ხალხია, საკუთარ დედას ტყავს გააძრობს.

საკმარისია, მილიარდერი კაცი თვითმფრინავით სადმე გაფრინდეს (არავის სჭირდება, მაგრამ წარმოვიდგინოთ), ეს ე. წ. ხელისუფლება იმ წამსვე ჩამოიშლება.

– სამართალდამცავ ორგანოებში „სისხლიანი“ კადრებიც კი არ არიან გათავისუფლებული. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა. გია ვოლსკი კი ირწმუნება, ძალადობრივი სისტემა დიდი ხანია, დაინგრაო.

– გამომძიებელ ჩოლოიანს, რომლის შავი საქმეები სტრასბურშიც კი გაიგეს, „ოცნების“ სექტამ არასრულწლოვანების გამოკითხვა ანდო. რაზეა საერთოდ საუბარი? ქვეყანას მართავს გამოჩოლოიანებული სექტა.

ამ სიტყვას ტყუილად არ ვხმარობ. ჩოლოიანები სხედან შსს-შიც, პროკურატურაშიც, სასამართლოშიც და ყველგან. „ოცნების“ სექტამ ხალხი ბევრჯერ მოატყუა – ხან უფასო ფულს ჰპირდებოდა, ხან სამართლიანობის აღდგენას, ხან დასაქმებას. არაფერი არ შეუსრულებია.

„გახარიას დაპირებებს ფასი არა აქვს“

დღეს სამუშაოდ უცხოეთში გვერეკებიან. ეს ის ხელისუფლება არ არის, კოაბიტაცია რომ გამოაცხადა? სააკაშვილის გარდა, დანარჩენი ნაციონალები გვერდით დაიყენა. ახლა ახალი ტყუილებით აბრუებენ ხალხს.

თქვენს გაზეთს ყველგან კითხულობენ და მინდა მივმართო ადამიანებს, რომლებსაც თბილისი ნანახი არ ჰქონდა და „ოცნებამ“ ჩამოიყვანა – ხვდებით, რისთვის გიყენებენ?!

– 14 დეკემბრის აქციას გულისხმობთ?

– დიახ. გასაგებია, რომ საჯარო მოხელეები ხართ, სხვადასხვა სამსახურში მუშაობთ. ყველაფერი ხომ არ უნდა იკადროთ! თქვენ გიყენებენ. თქვენი დახმარებით უნდათ ტკბილი ცხოვრების გაგრძელება იმათ, ვისაც ეს არც დაესიზმრებოდა!

მაგალითად, მოსიარულე ამება ოხანაშვილს ვინ გააკარებდა პარლამენტს! რა უნდა ოხანაშვილს ხელისუფლებაში! ნაციონალებს, როცა სჭირდებათ, სისხლიან 9 წელს წამოაძახებენ ხოლმე. არადა, თვითონ ყველაფერი ცუდი გადმოიბარეს და თავისიც დაამატეს.

სააკაშვილი რაღაცას აკეთებდა კიდეც. ამათ ეგეც არ შეუძლიათ. ამ სექტის კისერზეა ახალგაზრდებისთვის თვალების დათხრა, საყდრისის აფეთქება, საზღვრების გადმოწევა, კატასტროფული მდგომარეობა დავითგარეჯის ტერიტორიაზე.

იყო პოლიციის განყოფილებებში გაუპატიურების, დაკითხვის შემდეგ თვითმკვლელობის შემთხვევები. კორუფცია და მექრთამეობა ყვავის. ამის შემდეგ ძნელია, „ქართულ ოცნებას“ უწოდო პოლიტიკური ძალა. ეს არის გამოჩოლოიანებული სექტა, ნაცმოძრაობის დანამატი.

– ნაცმოძრაობასთან დადგომას თქვენც გსაყვედურობენ.

– ჩვენ ნაცმოძრაობის სისტემა არ გადმოგვიფორმებია. ქუჩაში გამოვედით იმის გამო, რომ იყოს პროპორციული არჩევნები, სამართლიანობა, იმისთვის, რომ ბავშვები არ ხტებოდნენ სართულებიდან.

ვინც ჩვენზე ჭორაობს, იმათაც ვიცნობ. ესენი არიან ფეისბუკის მამრები და მდედრები. ეს ანგარიშიანი და უსაქმური ხალხია. მთელი დღეები ტახტზე კოტრიალობენ და ფეისბუკიდან არ გამოდიან. ახლა ფიქრობენ, რომ „ქართული ოცნებაა“ ძლიერი და იმათ გვიტევენ, ვინც ხელისუფლებას ვაკრიტიკებთ. თვითონ ერთი ადგილი არა აქვთ, ქუჩაში გამოვიდნენ და რამე გააპროტესტონ. თუ ჩვენთან ერთად არ უნდათ, ცალკე დადგნენ! ამის თავი არა აქვთ.

ამ ბატისტვინებს მივმართავ – ვერ ხედავთ, რომ თქვენმა „ოცნებამ“ ნაცების სასამართლო სისტემა ოფიციალურად გადმოიფორმა? ივანიშვილის ხელისუფლება გახდა წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრე. მან აიღო პასუხისმგებლობა გირგვლიანის, რობაქიძის, მოლაშვილის მკვლელობებზე! ჩაჩნებო, ხვდებით, ვის უძვრებით?! ჩვენ რომ მივაღწიოთ წარმატებას, ტუალეტთან დაგვიდგებით თხოვნებით.

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მოზარდების მართლმსაჯულებას უახლოეს ხანში არაფერი ეშველება?

– გამოჩოლოიანებული ხელისუფლების დაპირებებისა როგორ დავიჯეროთ! ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ეს სექტა პარლამენტში მოხვდება, მაგრამ უმრავლესობა არ უნდა ჰქონდეს და ამას უნდა მივაღწიოთ პროპორციული არჩევნებით.

– იმედი გაქვთ, რომ 2020 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით გაიმართება?

– ჩვენ ბრძოლას არ ვწყვეტთ. ისევ იქნება მიტინგები და მანიფესტაციები. შაბათსაც დააანონსეს ახალგაზრდებმა მიტინგი მას შემდეგ, რაც ლუკა სირაძეს დაკრძალავენ.

ამ უსახურმა ხელისუფლებამ, რომელიც გახდა ნაციონალური მოძრაობის დანამატი, საქმის გაკეთება და დაპირებების შესრულება არ იცის.

ნაციონალური მოძრაობა არ შეცვლილა. რეჟიმიც იგივეა და ხალხიც. ოღონდ, ერთის გამოკლებით – სააკაშვილის გარეშე.

გიორგი მშვენიერაძე: „პოლიციაში „დაკაჩავებები“ ისევ ხდება“

„ხელისუფლებებისთვის არჩევნებზე სკოლები ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია და ამიტომ არ აძლევენ მეტ თავისუფლებას“

იაგო ნაცვლიშვილი

15 წლის მოზარდის ლუკა სირაძის თვითმკვლელობის ფაქტმა მთელი ქვეყანა შეძრა. საზოგადოება განსაკუთრებით იმ გარემოებამ აღაშფოთა, რომ მოზარდმა თავი პოლიციაში გამოკითხვის შემდეგ მოიკლა, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, პოლიციის მხრიდან ზეწოლაა. თუმცა, საზოგადოების ნაწილი მის ყოფილ სკოლას ადანაშაულებს, სადაც სკოლის კედლებზე მან დატოვა წარწერები, მათ შორის „ამ ცხოვრების დედაც“. საზოგადოების ამ ნაწილის აზრით, „მწვანე სკოლის“ ადმინისტრაციას პოლიცია არ უნდა გამოეძახებინა. ამ პათოსის გავრცელებაში განსაკუთრებით აქტიურობენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები და მისი „ტროლები“ და „ბოტები“.

რატომ არ აღიარებს ხელისუფლება სისტემურ პრობლემებს და რატომ ცდილობს პასუხისმგებლობის ისრები სხვა მხარეს გადაიტანოს? რატომ ცდილობენ კიდევ უფრო რეპრესიული სახელმწიფო მანქანის შექმნას და რატომ მოუწოდებენ სხვებს თავი შეიკავონ პოლიტიზირებისაგან, როცა თავად ამკვიდრებენ ამას? – ამ საკითხების ირგვლივ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ ხელმძღვანელი **გიორგი მშვენიერაძე** საუბრობს:

– ამუშავდა „ტროლების“ ქარხანა და მცდელობაა, რომ მომხდარ ტრაგედიაზე ხელი შეაწმინდონ სკოლას და ამასთანავე ხელს იშვერენ ისევ და ისევ ნაციონალურ მოძრაობაზე. რატომ ვერ გრძნობს ხელისუფლება თავის პასუხისმგებლობას და იმას, რომ სისტემაში სერიოზული პრობლემებია?

– ჩემი, როგორც რიგითი ადამიანის დაკვირვება შეიძლება არ იყოს ზუსტი განმსაზღვრელი, ხელისუფლების სასარგებლოდ მომუშავე ტროლების და ბოტების ქცევის თვალსაზრისით, მაგრამ რასაც ვხედავთ, ეს მაინც იმგვარად აღიქმება, რომ ხელისუფლების მხარდამჭერი მესიჯები არის იმგვარი, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობა ისეთივეა, როგორც დანარჩენი საზოგადოების. ეს რეალურად ნიშნავს ხელისუფლების ტვირთის შემსუბუქებას და მეორე მხრივ, საზოგადოებაზე პასუხისმგებლობის გადანაწილებას და ასევე ის, რომ დამნაშავე უნდა ვეძებოთ არა იქ, სადაც შესაძლებელია პირი დაქვემდებარებოდა ღირსების შემლახავ მოპყრობას, არამედ იქ, სადაც გადაწყვიტეს, რომ ადგილი ჰქონდა სამართალდარღვევას და უნდა ჩაერთოთ სამართალდამცავები.

ეს საშიშიც არის. იმიტომ, რომ რეალურად მოქალაქეებს ეუბნებიან, თუ თქვენ ჩათვლით, რომ ვინმემ თქვენი ქონება დააზიანა, სწორი გზა არის არა ის, რომ სამართალდამცავ ორგანოს შეატყობინოთ, არამედ თქვენ უნდა გაარკვიოთ და გადაწყვიტოთ, უნდა აგოს თუ არა პასუხი. ეს გზავნილები მოდის.

ჩვენ ბევრი ინფორმაცია ჯერ კიდევ არ გვაქვს და მეორე საკითხია, როგორი იყო სკოლის ქცევა. რაც სკოლამ გააკეთა ყველაფერი შესაბამისი იყო, თუ არ იყო შესაბამისი სტანდარტებთან. მაგრამ ეს პრობლემა შესაძლოა უმნიშვნელო ჩანდეს იმ პრობლემასთან, რაც სამართალდამცავ სისტემას აქვს.

– ზუსტად ამაზე ვსაუბრობთ. შესაძლოა იყო სკოლის მხრიდან გადაცდომა, მაგრამ ტროლობის ნიშნის დასმა ხომ არ შეიძლება იმასთან, რასაც აკეთებს პოლიცია, რომელიც, წესით, უნდა იცავდეს მოქალაქეს?

– ტროლობის ნიშანი, რა თქმა უნდა, არ უნდა დაისვას. იმიტომ, რომ ადამიანები პოლიციისგან უნდა იღებდნენ სერვისს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ლევან ალაფიშვილი: „ქვეყნის მართვის სისტემა „ოცნებამ“ ნაციონალებისგან სრულად გადაიბარა“

„თბილი სავარძლებიდან და შავი ჯიპებიდან ეს სიმახინჯე იმდენად მშვენივრად მოჩანს, რომ ვერ ეთმობათ“

ნათია ხურცილავა

იურისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, რამდენად მიუძღვის ბრალი ზოგადად სისტემას 15 წლის მოზარდის თვითმკვლელობის საქმეში?

– როდესაც სისტემაზე ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ერთ რომელიმე ცალკე აღებულ სამინისტროს. კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს სისტემური თვალსაზრისით, მაგალითად, განათლების სამინისტროში, თუმცა, მე სისტემას ვაზოგადებ. დღეს მახინჯი სისტემა ემსახურება არა კონკრეტულ ამოცანას და მიზანს, არამედ ძალაუფლების შენარჩუნების მსურველ ხელისუფალს. ასე იყო ეს წინა ხელისუფლების დროს და ასეა დღესაც. დღევანდელმა ეს სისტემა გადმოიბარა.

პედაგოგი, ცხადია, ყველაზე არ ვსაუბრობ, ნაცვლად იმისა, რომ მისი მთავარი საზრუნავი იყოს მოსწავლე, სხვა მიზანს ემსახურება. პოლიტიკური ლოიალობა არის ამოსავალი.

ანალოგიური სიტუაციაა შინაგან საქმეთა სამინისტროში. იგივე ხდება სხვა ნებისმიერ ბიუროკრატიაში, რომელიც ყოველდღიურად იზრდება. რადგან სწორედ ამ გზით ინარჩუნებდა წინა ხელისუფლებაც და ეს ხელისუფლებაც ძალაუფლებას.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს? არასამთავრობო სექტორის ნაწილი მიიჩნევს, რომ შს მინისტრი გომელაური უნდა გადადგეს. პრემიერ-მინისტრზეც კეთდება აქცენტები პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატების მხრიდან.

– სწორედ ამ კონტექსტში ვსაუბრობდი, როდესაც სისტემაზე მოგახსენეთ, რომელზეც დგას ხელისუფლების ძალაუფლება. ის ვერ ელევა ამგვარ სისტემას, რადგან სწორედ ასეთი სისტემა ემსახურება მას ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

ასეთი სისტემა რომ არ შეცვალა „ქართულმა ოცნებამ“, ამაზე პასუხისმგებლობა პირდაპირ პრემიერ-მინისტრს ეკისრება, მაგრამ აქ კი არ უნდა დავსვათ წერტილი, ეს სია უნდა გაგრძელდეს.

პასუხისმგებლობა გადადის საპარლამენტო უმრავლესობაზეც, რომელიც არ ცვლის ამ სისტემას. საპარლამენტო რესპუბლიკაში მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელი, ამ პასუხისმგებლობას მაკონტროლებელი ორგანო – პარლამენტიც ინაწილებს.

ასე რომ, პრემიერი და საპარლამენტო უმრავლესობა არიან პასუხისმგებელი იმ სისტემის შენარჩუნებასა თუ გაძლიერებაზე, რომლითაც წინა თუ დღევანდელი ხელისუფლება ინარჩუნებს ძალაუფლებას.

– ელოდებით კონკრეტული პირების მიმართ პასუხისმგებლობის დადგომას?

– ახლა მთავრობის ზრუნვის საგანი იქნება, მხოლოდ სკოლის პასუხისმგებლობა გამოკვეთოს. ამ მიმართულებით დაიწყოს მოქმედება, ეს ტენდენცია უკვე გამოიკვეთა. განათლებისა და იუსტიციის მინისტრებმა თქვეს, კერძო სკოლების რეგულაცია უნდა გავამკაცროთო. ყველაფერზე შეიძლება იყოს აქცენტი, გარდა იმისა, რომ აღიარონ, რეალურად რა უდევს ამ ყველაფერს საფუძვლად.

– დეპუტატმა ბესელიამ თქვა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება სისტემასთან დამარცხდა. შეიძლება ხელისუფლება სისტემის მძევალი იყოს თუ, მაგალითად, მოსამართლეების საკითხსაც გავიხსენებთ?

– კარგია, რომ ხელისუფლებაში ნამყოფი ადამიანისგან გვესმის ეს შეფასება, რადგან მან ჩემზე და თქვენზე მეტი იცის, თუ რა ხდება შიგნით. დიახ, სისტემა უცვლელია და „ქართულმა ოცნებამ“ ეს სისტემა სრულად გადმოიბარა და შეინარჩუნა.

იმას, რომ „ქართული ოცნება“ სისტემის მძევალია, ვერ დავეთანხმები. არა, ეს სისტემა ახლა ემსახურება „ქართულ ოცნებას“ და თუ არ დაინგრევა, მოემსახურება იმას, ვინც იმ დროისთვის იქნება ხელისუფლებაში.

დარწმუნებული ვარ, ყველა პოლიტიკური ძალა კარგად ხედავს იმ სიმახინჯეებს, რაც ქვეყნის მმართველობით სისტემაშია, მაგრამ პოლიტიკური გუნდის ცხოვრებაში დგება ჟამი, როდესაც მოდის ხელისუფლებაში და ეს სიმახინჯე ძალიან კომფორტული ხდება.

თბილი სავარძლებიდან და შავი ჯიპებიდან ეს სიმახინჯე იმდენად მშვენივრად მოჩანს, რომ ვერ ეთმობათ, იქნებ ცოტა ხანს კიდევ მოვასწროთო, მაგრამ ეს „ცოტა ხანი“ განუსაზღვრელი ვადით გრძელდება ხოლმე, ამიტომ, მის შეცვლაზე კი არ ფიქრობენ, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად იმსახურონ.

აქედან გამოსავალი მხოლოდ ჩვენშია, ამ ქვეყნის მოქალაქეებში. ჩვენ არ უნდა დავიღალოთ. დემოკრატია დაღლას ვერ იტანს. ზუსტად ისეთი იქნება ხელისუფლება, როგორი აქტიურებიც ვიქნებით ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

რამაზ საყვარელიძე: „დღეს ნაცმოძრაობა ძალიან წამგებიან ნაბიჯებს დგამს“

ნონა ცაბაძე

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ფსიქოლოგი, ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** პასუხობს.

– პატონო რამაზ, „ოცნება“ სერიოზულ ჩიხშია შესული, დასავლეთიდანაც მწვავე შეფასებები მოდის. რას იტყვით?

– წინასაარჩევნო პერიოდია და მეტოქეები უფრო დაუნდობლები ხდებიან ერთმანეთის მიმართ, შეცდომებსაც თითოეული მხარე უფრო მეტს უშვებს და ამ ტიპის კრიტიკა გასაკვირი არ არის.

არჩევნები ბრძოლაა. გააჩნია, როგორი მეტოქე გყავს. იგებს ის, ვინც ძლიერია. ამდენად, „ქართული ოცნების“ გამარჯვება-დამარცხება მეტოქეზეც არის დამოკიდებული.

– რამდენად ძლიერი მეტოქე ჰყავს დღეს „ოცნებას“?

– არა მგონია საიმისოდ ძლიერი იყოს, რომ გამარჯვება მოიპოვოს. ძირითადი მეტოქე ნაციონალური მოძრაობაა და ის არ ცდილობს თავისი ამომრჩევლის გულის მოგებას. ისიც იცის, რომ მისი ამომრჩეველი საკმარისი რაოდენობის არ არის გამარჯვების მოპოვებისთვის და არ ცდილობს მოიპოვოს ახალი გულშემატკივარი.

ის სტილი, რომლითაც ისინი მოქმედებენ, მათ აქცია-პერფორმანსებს ვგულისხმობ, სერიოზული პოლიტიკური პროცესის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

– თუმცა მათ შეძლეს, პროცესები ქუჩაში გადაეტანათ, „ოცნება“ მათ დღის წესრიგზე გადმოეწყო. ასეთი სიტუაცია და ქუჩაში გასული ოპოზიცია ხელისუფლებისთვის რთული სამართავი არ არის?

– რათ უნდა მაგას დიდი შეძლება, 100 კაცით ქუჩაში თუ გახვალ, პროცესი ქუჩაში იქნება გადატანილი.

– მოლაპარაკების მაგიდასთან ნაკლებად სხდებიან, იგივე საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით.

– ეს უკვე ორივე მხარემ თავის თავს დააბრალოს. ამიტომ არ აქვთ შედეგი. დღეს ნაცმოძრაობა ძალიან წამგებიან ნაბიჯებს დგამს და ეს მას აზარალებს თუნდაც საკუთარი ამომრჩევლის თვალში. ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო დონის შენიშვნებს...

– ამ მხრივ სერიოზული საყვედურები ისმის. ბოლო კი იყო ამერიკელი სენატორების მწვავე წერილი.

– ეს სენატორების წერილია და არა – ოფიციალური ამერიკის პოზიცია.

– და ეს მნიშვნელოვანი არ არის? თქვენ სერიოზულად არ აღიქვით?

– დრამატულად არ აღვიქვი. თორემ ხანდახან პატარა ბავშვის ნათქვამიც სერიოზულად უნდა აღიქვა, გააჩნია, შიგ რა არის ჩადებული.

დღეს ამერიკა და მთლიანად დასავლეთი დაინტერესებული არიან, რომ საქართველო გახდეს დასავლური პოლიტიკის პლაცდარმი შავი ზღვის სანაპიროზე. ანაკლიის პორტი არის ამის სიმბოლო. ამ ფონზე, საქართველოში დესტაბილიზაცია დასავლეთს არ აწყობს, ეს აწყობს მხოლოდ რუსეთს.

– ამით საით მიანიშნებთ, რომ ოპოზიცია თამაშობს რუსეთის თამაშს?

– მე დიდი იმედი მაქვს, რომ ამას ისე აკეთებს, რომ ვერ ხვდება. თუკი დასავლეთი უარს იტყვის დღევანდელ ხელისუფლებაზე, საქართველოზე იტყვის უარს აქედან გამომდინარე, თუკი მოსახლეობა უარს იტყვის ხელისუფლებაზე, მომავალ არჩევნებში ამომრჩევლის ხმები გაიფანტება უამრავ პარტიაში და შეუძლებელი გახდება მთავრობის ფორმირება. ვინ იქნება ამით კმაყოფილი?! დასავლეთი თუ რუსეთი? რა თქმა უნდა, რუსეთი. თუმცა ოპოზიციის ეგზალტირებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ისინი ამას ვერ აცნობიერებენ.

შეიკრიბნენ რამდენიმე დღის წინ, ითათბირეს, ითათბირეს, გამოვიდნენ და მოგვახსენეს, „ოცნებას“ ხელისუფლების შენარჩუნება უნდაო. რისთვის დაკარგეს რამდენიმე საათი, ეს დასკვნა რომ დაედოთ? ეს ისედაც ყველამ ვიცით. რომელ ხელისუფლებას ეთმობა სავარძელი?!

ამიტომ ამ ინტელექტუალური პასაჟებით არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ ხვდებოდნენ, რა მასშტაბის პროცესები აქვთ თვითონ წამოწყებული და რა მასშტაბის შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ პროცესებს.

– რა უნდა გადაუგდოს ხელისუფლებამ ოპოზიციას, რომ დაიყოლიოს და ქუჩის აქციები შეაწყვეტინოს?

– ერთი გადაგდება არის დიალოგი. მეორე გადაგდება უკვე გვიანია, რადგან ეს ერთხელ უკვე გადაუგდო და ეს იყო პროპორციული სისტემა.

– გადაუგდო, მაგრამ უკან წაიღო, მოატყუა. ახლა რამდენად წამოეგება იგივე ანკესზე ოპოზიცია?

– დიახ, ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო, ხელისუფლებამ ეს საკვები უკან წაიღო და ამაზე გამწარდა ყველა. ოპოზიციაც და უცხოეთიც.

– ასევე პოზიციის ნაწილიც.

– დიახ, პოზიციის დიდი ნაწილიც. რაში სჭირდებოდათ ეს ნაბიჯი, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია.

– რაში და დათვალეს, რომ ამ სისტემით არჩევნებს ვერ იგებდნენ. ასე არ არის?

– დათვლა საკმაოდ კონკრეტული რამეა. თუკი ის ვერ იგებდა არჩევნებს, გასარკვევია, რა იგულისხმება არჩევნების მოგებაში. თუკი იგულისხმება კოალიციური მთავრობა, ისეთი, სადაც წამყვანი როლი და პოზიციები მაინც „ოცნებას“ ექნებოდა, მაშინ ეს მაინც მოგებაა. ამიტომაა გაურკვეველი ჩემთვის, რა ნაბიჯი გადადგა „ოცნებამ“.

ახლა იგივე კერძის უკან დაბრუნება, პროპორციულს ვგულისხმობ, ნაციონალებს და დანარჩენ ოპოზიციას მისცემს იმის ძახილის საშუალებას, ჩვენ გავიმარჯვეთო და გამარჯვების გვირგვინი ბევრ ხმას მოუტანს ოპოზიციას.

– არც არის მზაობა, რომ „ოცნებამ“ ეს მსუყე ლუკმა უკან დააბრუნოს.

– ამიტომ არა მგონია, პროპორციულზე გადასვლა ამ ფორმით, რასაც ოპოზიცია სთავაზობს, შესაძლებელი იყოს. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ თვითონ შეიმუშაონ რაიმე ისეთი ფორმა, რაც ოპოზიციის დაწყნარების საშუალებად იქცევა.

მეუფე გრიგოლი: „თავის მოკვლა გამოსავალი არასდროს არის“

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა წმინდა ნიკოლოზის ტაძარში სადღესასწაულო მსახურება აღასრულა და იქადაგა.

მეუფემ ქადაგებისას 15 წლის მოზარდის გარდაცვალების შესახებ ისაუბრა.

მისი შეფასებით, თავის მოკვლა გამოსავალი არასოდეს არ არის.

– რაღაც გვაკლია ძალიან სერიოზული და ეს ეხება როგორც ჩვენ რწმენას და სულიერ მდგომარეობას, ასევე ჩვენს საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ, თუ მოვინდომებთ, ამ დიდი სიძნელეების დაძლევას. თუმცა, დღეს მთელი ქვეყანა საუბრობს კონკრეტული შემთხვევის შესახებ, ყმაწვილმა, მოზარდმა რომ თავი გაწირა.

რა იყო ეს? რა საქციელია ეს? ადამიანები სხვადასხვანაირად განმარტავენ ასეთ შემთხვევას. ვიღაცა ამაში გამოსავალს ხედავს, ვიღაცისთვის გმირობაა, ვიღაცისთვის სასოწარკვეთილების შედეგია, მაგრამ თავის მოკვლა, ასაკოვანი ადამიანი იქნება თუ მოზარდი, გამოსავალი არასდროს არის.

ეს არის ძალიან დიდი სისუსტის ნიშანი. განსაკუთრებით, როცა ვსაუბრობთ ჩვენს ახალგაზრდებზე, მოზარდებზე, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ მათ უფრო მეტი ყურადღება სჭირდებათ ჩვენგან.

ძნელია იმის თქმა, ვინ არის აქ დამნაშავე, დიახ, შეიძლება ადამიანები ეძებენ, გვარებს, სახელებს, კონკრეტულ პიროვნებებს, მაგრამ აქ ბევრია მიზეზი, კომპლექსურია ეს მიზეზი, მათ შორის სოციალური უთანასწორობა, რომელიც ამ წუთისოფელში არსებობს, როცა ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი ის, რაც მას სურს, როცა ადამიანებს არა აქვთ საშუალება, მიიღონ ის, რაც მათთვის აუცილებელია, ის მინიმუმიც კი.

არ მინდა ამ თემაზე გამიგრძელდეს საუბარი, მაგრამ ეს არის ის მწვავე პრობლემა, რომელიც აწუხებს თითოეულ თქვენგანს, მე მოვდივარ ტაძარში და ნუგეშს ისევ უფალთან ვეძებ და, რა თქმა უნდა, განსაცდელი ერთგვარად ღმერთთან მიმყვანებელია, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი გზა, არამედ ცოტა უფრო მეტად უნდა ჩავიხედოთ საკუთარ თავში, საკუთარ სინდისში და ვკითხოთ, ვინა ვარ მე, რას წარმოვადგენ და რა შემიძლია.

ჩვენ ვისურვებდით, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იყოს, მაგრამ ამ უკეთესობის შექმნაში ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა, ვიდრე ადამიანი თავის თავში იქნება ჩაკეტილი, თავის პრობლემებში იქნება ჩაკეტილი, რა თქმა უნდა, ის ვერ შეცვლის ვერც თავის ცხოვრებას და ვერც სხვების ცხოვრებას.

ჩვენ გვჭირდება სულიერი ერთობა, თანადგომა, გაზიარება ერთმანეთის ტკივილისა და მხარდაჭერა.

წმინდა ნიკოლოზის ლოცვით ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო, – განაცხადა მეუფე გრიგოლმა.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ რატი იონათამიშვილი აირჩიეს

გუშინ, 19 დეკემბერს, უმრავლესობის სხდომაზე ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე აირჩიეს.

ფრაქციის თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ წევრი რატი იონათამიშვილი იქნება.

რატი იონათამიშვილმა მამუკა მდინარაძე ჩაანაცვლა.

ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობა მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც მამუკა მდინარაძე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გახდა.

გიორგი მშვენიერაძე: „პოლიციაში „დაკაჩავებები“ ისევ ხდება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

და ადამიანები, რომლებიც პოლიციასთან კომუნიკაციაში არიან, არ უნდა გრძნობდნენ თავს შეურაცხყოფილად. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ და თვალი უნდა გავუსწოროთ იმ მოცემულობას, რომ ჩვენმა პოლიციამ ისეთი სახე მიიღოს, რომ ადამიანებს არ აყენებდნენ შეურაცხყოფას. ამაზე პასუხისმგებლობა დღევანდელ ხელისუფლებას აქვს, სწორედ იმიტომ, რომ მან, ისევე როგორც წინა ხელისუფლებამ და იმისმა წინა ხელისუფლებამ ვერ და არ მოახერხა და არ შეცვალა ისეთი ფუნდამენტური მიდგომა, როგორიცაა ის, რომ პოლიციელისთვის უმთავრესი უნდა იყოს ადამიანის პატივისცემა და მისი უფლებების დაცვა და არა ადამიანების უფლებების დარღვევის ხარჯზე პროფესიული წარმატების მიღწევა.

– რეალურად ქვეყანაში გვაქვს რეპრესიული მანქანა. ვხედავთ პოლიციის ქმედებებს, ვხედავთ საჯარო სკოლებში არსებულ რეგულაციებს და იუსტიციის მინისტრი გვეუბნება, რომ კერძო სკოლებშიც იგივე რეგულაციები უნდა მოქმედებდეს. რეალობას ვერ აცნობიერებენ თუ მცდელობაა, რომ კიდევ უფრო რეპრესიული მმართველობა დანერგონ?

– საჯარო სკოლებს სჭირდება ნაკლები ცენტრალიზაცია. მათ უფრო მეტად სჭირდება დეცენტრალიზაცია. სკოლებს უნდა გაეზარდოთ ავტონომია და თავისუფლება, რაც საჯარო სკოლებს შორის ერთგვარ კონკურენციასაც შექმნის და აამაღლებს განათლების ხარისხს. ისევე, როგორც თავისუფლება საშუალებას მისცემს სკოლებს, რომ უკეთეს განათლებასთან ერთად, უკეთესი მოქალაქეები გაუზარდონ ჩვენს ქვეყანას.

თუმცა, ხელისუფლებები ამაზე უარზე არიან. ამის მცდელობა პირველად იყო კახა ღომაიას მინისტრობის დროს, თუმცა მალევე ნაციონალური მოძრაობაც შეეშვა ამ იდეის განხორციელებას და კვლავ სკოლის ცენტრალიზება დაიწყო. ეს არის განპირობებული ხელისუფლების ხედვით, რომ სკოლა მათთვის არის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი საარჩევნო რესურსის თვალსაზრისით.

როგორც საარჩევნო ადმინისტრაციებში დასაქმებული პედაგოგები, ასევე სააგიტაციო პერიოდში მათი მხარდაჭერის გამოყენება ხელისუფლებისთვის არის მნიშვნელოვანი და ამას ვერ თმობენ ჩვენი ხელისუფლებები.

ახლა ვისმენთ, რომ კერძო სკოლებშია პრობლემა და თურმე საჯარო სკოლებში ყველაფერი მოწესრიგებულია, რაც ღიმილის მომგვრელია. იმიტომ, რომ ბუნებრივია, მშობლები, რომლებსაც ამის შესაძლებლობა აქვთ, ცდილობენ, რომ საკუთარი შვილები კერძო სკოლებში ჰყავდეთ. სწორედ იმიტომ, რომ თვლიან, მათი შვილები ამ სკოლებში უკეთეს განათლებას მიიღებენ და უკეთესი მოპყრობა იქნება სკოლების ადმინისტრაციების მხრიდან. რა თქმა უნდა, იქაც არ არის იდეალური მდგომარეობა და ბევრი აშორებს საუკეთესო მაგალითებამდე.

ამიტომ, თუ კითხვას ასე დავსვამთ, რომ რას უნდა ცდილობდეს ხელისუფლება, ეს არის ის, რომ საჯარო სკოლების ხარისხი აამაღლოს იმდაგვარად, რომ მშობლებს სურვილი უჩნდებოდეთ, საკუთარი შვილები სწორედ საჯარო სკოლებში მიჰყავდეთ და არა კერძო სკოლებში. ამის ნაცვლად ხელისუფლება გვეუბნება, რომ ჩვენ კერძო სკოლები უნდა დავამსგავსოთ საჯარო სკოლებსო. ამიტომ, ეს უბრალოდ არა მგონია, რომ გონივრული იყოს.

– ხელისუფლების მესიჯ-ბოქსი ასეთი იყო, რომ ნიჰილიზმი არ უნდა იყოს და არ უნდა მოხდეს ამ ტრაგედიის პოლიტიზირება, მაგრამ მეორე მხრივ, გია ვოლსკი აცხადებს, რომ სკოლამ აიღო პასუხისმგებლობა და ჩვენ რატომ არ უნდა დავეთანხმოთ მასო. ეს არ არის პოლიტიზირება?

– ეს პრობლემა, რომელზეც ვსაუბრობთ, ცხადია, რომ იმაზე ღრმაა, ვიდრე პარტიული საკითხები. ნაციონალური მოძრაობა იტყვის ამას თუ „ქართული ოცნება“, პრობლემები ამაზე ღრმაა. ამიტომ, როდესაც საუბარია ამ პრობლემების აღიარებაზე, ეს მათ შორის გულისხმობს პოლიტიკის ცვლილებებს, რომელსაც სწორედაც რომ პოლიტიკური ნება სჭირდება. შესაბამისად, საუბარი იმაზე, რომ ამ ყველაფრის პოლიტიზირება არ უნდა მოხდეს, არასწორია. პირიქით, პოლიტიკის ცვლილებამ უნდა უზრუნველყოს უკეთესი სისტემის შექმნა. ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანების შეცვლა ხელისუფლებაში ავტომატურად არ ცვლის სისტემას და ამას გაცილებით მეტი სჭირდება.

პოლიციელი, რომელიც ჩვენი უფლებების დაცვაზე უარს ამბობს, უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე შეიძლება ქურდი იყოს

როდესაც პოლიციაზე ვსაუბრობთ, უნდა ვთქვათ ისიც, რომ არ გატარდა ძირეული რეფორმები, საუბრებისა და კონცეფციების არსებობისა. მას უნდა გამოეყოს საზედამხედველო ფუნქცია და რასაც პროკურატურა უნდა აკეთებდეს. რეალურად პრობლემა გვაქვს საგამოძიებო და ოპერატიულ სამძებრო ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით. სადაც ოპერატიული სამსახურები და გამოძიება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მათ შორის მიჯნები არ არსებობს. პრობლემა გვაქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის კუთხით პოლიციელების ქცევაზე.

როდესაც ვამბობთ, რომ გამოკითხვის ინსტიტუტის შემოღებაა საჭირო, ვიღაცების დაბარება პოლიციაში და მათი იქ „დაკაჩავება“ პოლიციის განუყოფელი პრაქტიკაა და ვიბრძოდით ისეთი ინსტიტუტისთვის, სადაც პოლიციელია დაინტერესებული, რომ მოვიდეს შენთან, მოისმინოს ინფორმაცია, ჩაინიშნოს და მერე შეაგროვოს, ამის ნაცვლად, დაკითხვას დავარქვით გამოკითხვა და პრაქტიკა იგივედ ვაქციეთ, როდესაც პოლიციაში იბარებენ ადამიანებს, იქ მიდიან და იგივე ეტაპებს გადიან. ამიტომ, ამ სისტემას კოსმეტიკა არ შველის ხოლმე.

პოლიციელი, რომელიც ქურდობის საქმეს იძიებს და ამას იძიებს იმიტომ, რომ ქურდობის შედეგად ვიღაც სხვისი უფლება დაირღვა, ხშირად იმაზე დიდი დამნაშავეა ხოლმე, ვიდრე ქურდი არღვევს სხვის უფლებებს ამ გამოძიების პროცესში. რადგანაც ქურდს მფარველები არ ჰყავს, ხოლო პოლიციელს ეფარება მთელი სისტემა. ეს მაშინ, როცა პოლიციის ფუნქცია მოქალაქეების დაცვაა. ეს უნდა გააცნობიეროს ხელისუფლებამაც. ამიტომ ვუხდით ჩვენ მათ ფულს.

პოლიციელი, რომელიც ჩვენი უფლებების დაცვაზე უარს ამბობს, უფრო დიდი საფრთხეა, ვიდრე შეიძლება ქურდი იყოს. ამიტომ, ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ ეს მოცემულობა, ეს მაგალითები და ვიზრუნოთ იმაზე, რომ უკეთესი სისტემა შევქმნათ.

მარიანა ჩოლოიანს ბრალი წარედგინა

საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 2 პირი

15 წლის ლუკა სირაძის საქმეზე დაკავებულ გამომძიებელ მარიანა ჩოლოიანს ბრალი ოფიციალურად წარედგინა.

ჩოლოიანისთვის ბრალის წარდგენა გუშინ, 19 დეკემბერს, კავკასიის მედიცინის ცენტრში მოხდა, სადაც დაკავებულია მოთავსებული.

დაკავებული გამომძიებლის ადვოკატი თეონა გვაზავა ჩოლოიანის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლებრივ დევნას არ ეთანხმება. გვაზავას თქმითვე, აღნიშნულ საქმეში არათუ მხოლოდ გამომძიებლის, არამედ არც ერთი პოლიციელის მხრიდან დანაშაულებრივ ქმედებას არ ჰქონია ადგილი და არც არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულა იძულების მუქარა.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ მარიანა ჩოლოიანის საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 2 პირი. ამის შესახებ პროკურორმა ლევან ქუთათელაძემ განაცხადა.

– საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიმართა შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული შუამდგომლობა დასაბუთებულია საფრთხეებით, ეს არის მტკიცებულებების მოპოვების და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე, – აღნიშნა ქუთათელაძემ.

პროკურორმა ასევე განმარტა, რომ საქმე ეფუძნება მოწმეთა ჩვენებებს და სხვა ნივთიერ

მტკიცებულებებს, რომლებიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ადასტურებს, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილ იქნა საქართველოს სსკ-ს 335-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

– აღნიშნული გულისხმობს, მოწმეთა ზემოქმედებას გამოძიების ეტაპზე, როდესაც ხდებოდა არასრულწლოვანთა მიმართებით ჩვენების მიცემის იძულება, – აღნიშნა ლევან ქუთათელაძემ.

პროკურორის თქმით, საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 2 პირი, საუბარია დანაშაულის 2 ეპიზოდზე და ბრალდების მხარე არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეზე მხოლოდ ერთი მტკიცებულება არსებობს.

შეგახსენებთ, რომ 15 წლის ლუკა სირაძე, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თვითმკვლელობა სცადა, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

„გიღირდათ კედელი სიცოცხლის ფასად?!“

აბაშაში 17 წლის გოგონამ თავი ჩამოიხრჩო

18 დეკემბერს აბაშაში 17 წლის გოგონამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, გოგონამ წერილი დატოვა, რის შემდეგაც თავი ჩამოიხრჩო.

„გიღირდათ კედელი სიცოცხლის ფასად“ – ეს არის 17 წლის გოგონას ბოლო პოსტი სოციალურ ქსელში, რითაც ის 15 წლის ლუკა სირაძის გარდაცვალებას გამოეხმაურა.

ამ პოსტიდან რამდენიმე საათში კი გოგონამ, ლუკას მსგავსად, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

რა წერია ლუკა სირაძის დედის ჩვენებაში

გარდაცვლილი 15 წლის ლუკას სირაძის ოჯახის ადვოკატი ჟურნალისტებთან გარდაცვლილის დედის ჩვენების ერთ ნაწილს ასაჯაროებს და აცხადებს, რომ ამ ჩვენებით მუქარის ერთ-ერთი ადრესატი ლუკას ძმა ბექა იყო.

– ლუკას დედის ჩვენებაში მითითებული იყო, რომ მუქარის ერთ-ერთი ადრესატი ლუკას ძმა ბექა იყო, რომელიც გორის სამხედრო აკადემიაში სწავლობს. მას უთხრეს, რომ ბექას პრობლემები შეექმნებოდა, თუმცა რა სახის პრობლემებზე იყო საუბარი, ამას არ აკონკრეტებენ.

ამის შემდგომ, როდესაც უკვე უშუალოდ უსაფრთხოების მენეჯერი გამოჰკითხეს, მანაც იგივე დაადასტურა, რომ როდესაც განყოფილებაში იყო, ამ ადამიანს უთხრეს, რომ მის ძმას ბექას, პრობლემები შეექმნებოდა.

უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერი იმავე დარბაზში იმყოფებოდა, სადაც ლუკას კითხავდნენ. გვერდზე იყო, ისმენდა, რასაც ლუკა ამბობდა და ესმოდა, რასაც ლუკას ეუბნებოდნენ.

ლუკას დედამაც და ამ ადამიანმაც, ორივემ, ერთი და იგივე რამ თქვეს, რომ ლუკას ბექათი ემუქრებოდნენ. ეს თქვა ორივემ თავის ჩვენებაში, ანუ გამოდის, რომ დედა არ იტყუებოდა და სიმართლეს ამბობდა, – განაცხადა ლუკა სირაძის ოჯახის ადვოკატმა რევაზ აჭარაძემ.

ადვოკატი საბანაძე: „ადვოკატი მამუკა შაქარაშვილი პოლიციელებმა დააბეს და სცემეს“

ადვოკატ მამუკა შაქარაშვილს თბილისის პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს.

ამის შესახებ, თავად შაქარაშვილმა „ინფო რუსთავთან“ საუბარში განაცხადა.

სახლში დაბრუნებულ ადვოკატს ბინაში სამართალდამცავები დახვდნენ, რომლებიც საცხოვრებელს ჩხრეკდნენ.

უფლებადამცველების თქმით, შაქარაშვილს პოლიციელებმა არ განუმარტეს, თუ რას ემსახურებოდა საგამოძიებო მოქმედებები და არც ჩხრეკის ორდენი წარუდგინეს.

ადვოკატს შელაპარაკება მოუვიდა სამართალდამცავებთან.

– მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, დააბეს, ასევე იძალადეს როგორც მასზე, ასევე მის ოჯახის წევრებზე, ცემის შედეგად გახდა უძლური, გამოიძახეს სასწრაფო, რომელმაც გადმოიყვანა საავადმყოფოში, – განაცხადა ადვოკატმა ემზარ საბანაძემ.

შსს-ში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, რომ მაქარაშვილი არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მითითებას, რის შემდეგაც ადმინისტრაციული წესით დააკავეს და მალევე გაათავისუფლეს.

ალეკო კობაიძე, რომელიც მამუკა მაქარაშვილის ადვოკატია, „ინფო რუსთავთან“ აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამ დროისთვის მკურნალობას „კლინიკა რუსთავში“ გადის.

საბერძნეთში ქართველმა დედამ ახალშობილი სანაგვეზე მოისროლა

საბერძნეთში, ქალაქ კალამატაში, პოლიციამ დააკავა ქართველი დედა, რომელმაც თავისი ახალშობილი ბავშვი სანაგვეზე გადააგდო.

ამის შესახებ ბერძნული მედია წერს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვის ტირილის ხმა გაიგონა ერთ-ერთმა მცხოვრებმა, რომელიც დილით ნაგავს ჰყრიდა, ბუნკერში კი ჩანთაში ჩასმული ახალშობილი ბავშვი აღმოაჩინა და ამის შესახებ სამართალდამცავებს აცნობა.

ქალაქ კალამატას მერმა აღნიშნა, რომ ახალშობილი ძალზე იღბლიანი აღმოჩნდა, რადგან ნაგვის მანქანამ დააგვიანა ქალაქში შემოვლა, რომელთაც ბუნკერები უნდა დაეცარიელებინათ ნაგვის ნარჩენებისგან.

მისი თქმით, მანქანის მოსვლის შემთხვევაში, ნაგვის მანქანის ეკიპაჟი ვერ გაიგებდა ბავშვის ტირილს და უბედური შემთხვევა მოხდებოდა.

ახალშობილი საავადმყოფოშია და იგი დაკვირვებებს გადის ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ. გაცხადებული ინფორმაციით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

– საბერძნეთში საქართველოს საკონსულო მუდმივ კონტაქტზეა კალამატას პოლიციასთან, რათა დაადგინოს ქალის ვინაობა და მოქალაქეობრივი კუთვნილება, – განუცხადეს ინტერპრესნიუსს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში.

თბილისის აეროპორტთან სამარშრუტო ტაქსი სატვირთოს შეეჯახა

2 ადამიანი დაიღუპა, 13 დაშავდა

თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 2 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 13 დაშავდა.

გუშინ, 19 დეკემბერს, ერთმანეთს მიკროავტობუსი და სატვირთო მანქანა შეეჯახნენ.

ავარიასთან დაკავშირებით კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ მოგვიანებით საგანგებო განცხადება გაავრცელა.

„კახეთის გზატკეცილზე მოძრავი მგზავრებით დატვირთული სამარშრუტო ტაქსი ხაზის ნომრით 82, წინასწარი ვერსიით, უკან სვლით მომავალ სამშენებლო მასალით დატვირთულ სატვირთო ავტომობილს შეეჯახა, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა 1 მგზავრი, ხოლო უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალების მძღოლი და მეორე მგზავრი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გადაიყვანა სამედიცინო დაწესებულებაში.

დაშავებულია კიდევ რამდენიმე მგზავრი, რომელთა მდგომარეობა სტაბილურია. მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება“ – აღნიშნულია განცხადებაში.

მოგვიანებით ავარიისას მძიმედ დაშავებული მამაკაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ექიმის თქმით, ის სამედიცინო დაწესებულებაში კომატოზურ მდგომარეობაში შეიყვანეს მრავლობითი დაზიანებებით:

– მამაკაცი 62 წლის, კომატოზურ მდგომარეობაში, მდგომარეობა კრიტიკული იყო თავიდანვე, სახეზე აღენიშნებოდა მრავლობითი

დაზიანებები, თვითონ თავი იყო დეფორმირებული, პაციენტი მზადდებოდა საოპერაციოში ასაყვანად, მაგრამ რამდენიმე ხანში პაციენტს გული გაუჩერდა, – განაცხადა ექიმმა ბაქარ კუჭავამ.

ბათუმში მოქალაქემ პოლიციელი ომარ თავართქილაძე ყელში დაჭრა

18 დეკემბერს ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, პოლიციელი დაჭრეს.

საპატრულო პოლიციის ეკიპაჟს მოქალაქემ ხელი დაუქნია, მას შემდეგ კი, რაც პატრულის ავტომობილი გაჩერდა და ავტომობილიდან პოლიციელი გადმოვიდა, მოქალაქემ ის დაჭრა.

ბრალდებული დაჭრილის მეწყვილემ ადგილზე დააკავა.

დაჭრილ პოლიციელს ოპერაცია უკვე ჩაუტარდა. როგორც აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ზაალ მიქელაძემ განაცხადა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

– პაციენტის მდგომარეობა ამჯერად სტაბილურია, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ჯანმრთელი და უვნებელი გაეწეროს კლინიკიდან, – განაცხადა ზაალ მიქელაძემ.

დაჭრილი სამართალდამცველი ოთარ თავართქილაძეა. ის მკლავჭიდის ნაკრების წევრია.

– კარგი ბიჭია და თავის საქმეს ყოველთვის კარგად აკეთებდა. სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაჭრეს, მას კონფლიქტი არავისთან ჰქონდა, – უთხრა „ამბებს“ პოლიციელის მეგობარმა გოჩა შავაძემ.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პოლიციაზე ან ხელისუფლების წევრზე თავდასხმას გულისხმობს.

გორში 26 წლის მამაკაცი დაჭრეს

გორში 18 დეკემბერს 26 წლის მამაკაცი დაჭრეს. დაჭრილი კლინიკა ,,გორმედში“ გადაიყვანეს.

ექიმების განცხადებით, პაციენტს ბასრი საგნით მიყენებული სხეულის მრავლობითი დაზიანებები აღენიშნება.

– შემოყვანილია 26 წლის ახალგაზრდა, პაციენტს გულმკერდისა და ბარძაყის არეში აღენიშნება ბასრი საგნით მიყენებული ნაკვეთი და ნაჩხვლეტი მრავლობითი ჭრილობები.

ჩაუტარდა შესაბამისი გამოკვლევები, გაეწია სამედიცინო დახმარება და მკურნალობას განაგრძობს ქირურგიულ განყოფილებაში. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

დაგეგმილია დამატებითი კვლევების ჩატარება, – უთხრა ინტერპრესნიუსს ,,გორმედის“ მორიგე ექიმმა ვიტალი სავანელმა.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტ ტრამპს იმპიჩმენტი გამოუცხადა

იმპიჩმენტის პროცედურა სენატში გაგრძელდება

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ პრეზიდენტ ტრამპის იმპიჩმენტს მხარი დაუჭირა.

ტრამპს თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და კონგრესის გამოძიებაში ხელის შეშლაში ედებოდა ბრალი.

პირველ პუნქტს მხარი დაუჭირა 230-მა კონგრესმენმა. წინააღმდეგი წავიდა 197. მეორე ბრალდებას მხარი დაუჭირა 229 კონგრესმენმა, წინააღმდეგი აღმოჩნდა 198.

იმპიჩმენტის გამოცხადებისთვის აუცილებელი იყო მინიმუმ 216 ხმა.

ამის შემდეგ იმპიჩმენტის პროცედურა სენატში გაგრძელდება, სადაც მის დასამტკიცებლად სენატორთა მინიმუმ ორი მესამედია საჭირო.

სავარაუდოდ, სენატი ტრამპის იმპიჩმენტის საკითხს იანვარში განიხილავს. თუ სენატმა პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი დაუჭირა, მას პოსტის დატოვება მოუხდება, სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას კი ახალ არჩევნებამდე ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი შეასრულებს.

თეთრი სახლის პრეს-სამსახურმა მომხდარზე კომენტარი უკვე გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ აშშ-ის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო ფურცელი თავის კულმინაციას მიუახლოვდა.

– პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ სენატი მას მთლიანად გაამართლებს, – ასე მთავრდება განცხადება.

თავად ტრამპმა კი მთელი დღე მიჩიგანის შტატში გაატარა. ის თავის ამომრჩევლებს შეხვდა:

– მანამ, სანამ დემოკრატები იმპიჩმენტთან დაკავშირებით ინტრიგანობენ და სისულელეს აკეთებენ, მე ქვეყანას ვმართავ და ამერიკის ძლიერებაზე ვზრუნავ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

– ვაუ, ვაუ, თითქმის 200. არც ერთი რესპუბლიკელის ხმა არ დაგვიკარგავს, სამმა დემოკრატმა კი ჩვენ სასარგებლოდ მისცა ხმა. რესპუბლიკური პარტია არასოდეს ყოფილა ასეთი შეურაცხყოფილი, თუმცა ერთიანი, როგორიც ახლაა, – თქვა ტრამპმა.

მისი აზრით, ის არის პირველი ადამიანი, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია, თუმცა იმპიჩმენტი გამოუცხადეს.

– დემოკრატებმა იმპიჩმენტი გააუფასურეს. ყველამ, ვინც პრეზიდენტი ხდება, შესაძლოა სატელეფონო ზარი განახორციელოს და ამის გამო იმპიჩმენტი მოუწყონ, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ტრამპი აშშ-ის მესამე პრეზიდენტი გახდა, რომლის იმპიჩმენტსაც წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა.

შოტლანდია დამოუკიდებლობას ითხოვს

შოტლანდიის პირველი მინისტრი ნიკოლა სტარჯენი დიდი ბრიტანეთის პრემიერს ბორის ჯონსონს მოუწოდებს, საკანონმდებლო ორგანოს მიანიჭოს უფლებამოსილება, გამართოს კიდევ ერთი რეფერენდუმი შოტლანდიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, ნებისმიერი ნორმალური დემოკრატიული სტანდარტით, შოტლანდიელ ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება, აირჩიოს საკუთარი მომავალი.

– ჩვენ მოვუწოდებთ გაერთიანებულ სამეფოს მთავრობას, მისცეს უფლებამოსილება შოტლანდიის პარლამენტს, მოახდინოს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დანიშვნა, – განაცხადა მინისტრმა.

შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი 2014 წელს გაიმართა, სადაც შოტლანდიის მოსახლეობამ გაერთიანებულ სამეფოში დარჩენას დაუჭირა მხარი. თუმცა, ექსპერტები და მათთან ერთად შოტლანდიის პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევენ, რომ 2014 წელს შოტლანდიის მოსახლეობამ არა გაერთიანებულ სამეფოში, არამედ ევროკავშირში დარჩენას დაუჭირა მხარი, ხოლო ბრექსითის შემდეგ, ეს მაჩვენებელი რადიკალურად შეიცვლება.

მოდელის მიერ დაკბენილ ქალს ცოფის საწინააღმდეგო აცრა გაუკეთეს

ბრიტანეთის ბერკშირის საგრაფოში 23 წლის მოდელს, რომელმაც თანამგზავრი დაკბინა, განაჩენი გამოუტანეს.

ინციდენტი მიმდინარე წლის აგვისტოში მოხდა, როდესაც მოდელი ელიზა პირებუმი მეგობრებთან ერთად ქალაქ ნიუბერიში გამართულ დღეზე იმყოფებოდა. უკანა გზაზე გოგონამ მატარებელში მგზავრებთან იჩხუბა და ერთ-ერთ ქალბატონს მუხლზე უკბინა. დაკბენილ ქალს ცოფის საწინააღმდეგო აცრის გაკეთება დასჭირდა.

პირებუმს ბრალად წაუყენეს ის, რომ მან ერთ-ერთ დაზარალებულს დაარტყა, თმებით ითრია, შემდეგ კი მეორეს უკბინა. მოდელმა წაყენებული ბრალი არ აღიარა და ამსტერდამში გაემგზავრა. საქმის სასამართლო მოსმენა ორი თვით გადაიდო, რათა მისთვის დიდ ბრიტანეთში დაბრუნების, მუშაობის დაწყების და დაზარალებულებისთვის კომპენსაციის გადასახდელი თანხის შეგროვების დრო მიეცათ. მან არც ერთი გააკეთა და არც მეორე.

სასამართლომ პირებუმს 10 თვის პირობით თავისუფლების აღკვეთა და 18 თვით გამოსაცდელი ვადა მიუსაჯა. გარდა ამისა, მოდელს მის მიერ დაკბენილი ქალისთვის კომპენსაციის სახით 1000 ფუნტი სტერლინგის, ხოლო ნაცემის ქალისთვის 250 ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუწევს. ბრალდება ერთ-ერთი მგზავრის თმებით თრევის თაობაზე, მოუხსნეს.

მამაკაცი მოდელი კამერის წინ სრულიად გაშიშვლდა

გერმანელმა მანეკენმა ლეონ დამმა, რომელმაც მოდის ჩვენების დროს მაყურებლები საკუთარი აგრესიული სიარულით შეაშინა, სოციალურ ქსელებში საკუთარი, სრულიად შიშველი ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ორი ფოტოსურათისგან შემდგარი სერია ინსტაგრამში მის გვერდზე გამოჩნდა.

პირველ ფერად კადრში ახალგაზრდა მამაკაცი ოქროსფერ სავარძელში სახით კამერისკენ ზის, ხელები კი მუხლებზე უდევს. მეორე შავ-თეთრ ფოტოზე, ის სამზარეულოს მაგიდასთან თავდახრილი პოზირებს. ორივე ფოტოსურათზე მოდელი სრულიად შიშველია.

ფოტოებისთვის თანდართული კომენტარიდან ვგებულობთ, რომ გადაღებას ფოტოგრაფი ალასდეირ მაკელანი აწარმოებდა ერთ-ერთი მოდური გამოცემისთვის. ამ დროისთვის დამის ფოტოებს დაახლოებით ექვსი ათასი მოწონება აქვთ მიღებული.

გოგონამ თვითმფრინავი გაიტაცა და ღობეს შეეჯახა

ამერიკის კალიფორნიის შტატში არასრულწლოვანმა გოგონამ კერძო თვითმფრინავის გატაცება სცადა.

ინციდენტი ოთხშაბათს 18 დეკემბერს ადგილობრივი დროით დაახლოვებით დილის 7:30 საათზე ფრესნო იოსემიტის აეროპორტში მოხდა. პოლიციის მონაცემებით, მოზარდი აეროპორტის ღობეზე გადაძვრა, თვითმფრინავში შეაღწია და მისი ერთ-ერთი ძრავი აამუშავა.

– შემდეგ თვითმფრინავმა მოძრაობა დაიწყო, შეტრიალდა და აეროპორტის ტერიტორიაზე ღობეს დაეჯახა, – ნათქვამია პოლიციის მიერ გავრცელებულ შეტყობინებაში. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა თვითმფრინავის საჭესთან საავიაციო აღჭურვილობაში გამოწყობილი 17 წლის გოგონა აღმოაჩინეს.

აღნიშნული შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა თავად ავიალაინერმა სერიოზული დაზიანებები მიიღო. გატაცების მცდელობის გამო გოგონა დაკავებულია. დანაშაულის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

მამაკაცმა ძაღლების გასეირნების დროს იხტიოზავრის ჩონჩხი იპოვა

ინგლისის სომერსეტის საგრაფოს ქალაქ სტოლფორდის მკვიდრმა ძაღლების გასეირნების დროს იხტიოზავრის გაქვავებულ ჩონჩხი იპოვა.

54 წლის იონ გოპსილი სანაპიროზე თავის შინაურ ცხოველებს პოპის და სემს ასეირნებდა, რა დროსაც ის ძვალს წამოედო, რომელიც 1,6 მეტრი სიგრძის გაქვავებული ჩონჩხის ნაწილი გამოდგა. მის თავს ბრიტანელმა ვერ მიაგნო.

მოყვარული პალეონტოლოგი გოპსილი მიიჩნევს, რომ ჩონჩხი იხტიოზავრს განეკუთვნება, რომელიც თანამედროვე ძუძუმწოვარა ცხოველს ზღვის ღორს ჰგავს და რომელიც იურულ პერიოდში არსებობდა.

ბრიტანელმა აღმოჩენის შესახებ ადგილობრივ სამეცნიერო ორგანიზაციებს აცნობა, თუმცა პასუხი ჯერ არ მიუღია.

წინასაახალწლო მანიკიურმა ქალი სასიკვდილო დაავადებისგან გადაარჩინა

ინგლისის ჩეშირის საგრაფოს ქალაქ მაკლსფიდის მკვიდრი ქალბატონი ამტკიცებს, რომ სილამაზის სალონში წინასაახალწლოდ მანიკიურის გასაკეთებლად მისვლამ, ის სასიკვდილო დაავადებისგან იხსნა.

54 წლის სარა ბეროუზი იხსენებს, თუ გასულ წელს როგორ წავიდა შობის წინა დღეს მანიკიურის გასაკეთებლად. იქ წასასვლელად კი ის დეკოლტიან კაბაში გამოეწყო. პროცედურის დროს მემანიკურემ მის მკერდზე ხალი შენიშნა, რომელიც მას საეჭვოდ მოეჩვენა. მან ქალს ზრდილობიანად უთხრა, რომ კანზე კიბოს ნიშნებს სწავლობს და გამოკვლევის ჩატარება ურჩია.

ქალმა მისი რჩევა ყურად იღო და საავადმყოფოს მიაკითხა. მის მკერდზე ხალი კეთილთვისებიანი სიმსივნე აღმოჩნდა, თუმცა ორი სხვა ხალი მის ფეხებზე კანის უკიდურესად სახიფათო ავთვისებიან სიმსივნეს – მელანომას წარმოადგენდა.

ექიმების თქმით, ქალმა დროულად მიაკითხა სამკურნალოდ და დაავადებამ მთელ სხეულზე გავრცელება ვერ მოასწრო.

– ვფიქრობ, დერმატოლოგს თავად არ მივმართავდი, მემანიკურეს, რომ არ ერჩია, – დაასკვნა ბრიტანელმა ქალბატონმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცებისგაჯანსაღებისცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბუფონი მალდინის დაეწია

პაოლო მალდინი სერია ა-ს რეკორდსმენი აღარ არის – ჯანლუიჯი ბუფონი მისი თანაზიარია და გაუმჯობესების შანსიც აქვს.

საუბარია, იტალიის სერია ა-ში ჩატარებული მატჩების რაოდენობაზე. იუვენტუსისა და სამპდორიას შეხვედრაში ჯიჯი იტალიის ჩემპიონატის ეგიდით მოედანზე 647-ედ გავიდა და ლეგენდარული თანამემამულის მიღწევაც გაიმეორა.

მალდინიმ აღნიშნულ რეკორდს 1985-2009 წლებში მილანში ჩატარებული მატჩებით უწია, ხოლო ბუფონმა 1995 წლიდან დღემდე ჩაატარა 647 თამაში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ბუფონს 2 სეზონი სერია ა-ს მიღმა აქვს გატარებული: 2006-07 წლების სეზონი სერია ბ-ში და 2018-19 წლების სეზონში საფრანგეთის ლიგა 1-ში, როდესაც პსჟ-ს ღირსებას იცავდა.

გარდა ამისა, დღესვე, ბუფონმა იმავე სერია ა-ში უშუალოდ იუვეს მაისური 479-ედ მოირგო და ტურინელთა რიგებში ამაზე მეტჯერ იტალიის უმაღლეს ლიგაში არავის უთამაშია.

ჯიჯიმ ალესანდრო დელ პიეროს რეკორდი გაუმჯობესა – 478 მატჩი იუვენტუსის მაირუსით სერია ა-ში. რაც შეეხება ბუფონს, დანარჩენი 168 თამაში პარმას შემადგენლობაში აქვს ჩატარებული.

კიტეიშვილისთვის ავსტრია ცოტაა

ტრანსფერმარკეტმა ავსტრიის ბუნდესლიგაში ფეხბურთელთა საბაზრო ფასებში ცვლილებები შეიტანა, სადაც საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ოთარ კიტეიშვილი თამაშობს. გრაცის შტურმის შემტევ ნახევარმცველს კარგი სეზონი აქვს და ეს მის ფასზეც აისახა.

16 დეკემბრამდე 23 წლის კიტეიშვილი 1,5 მილიონ ევროდ ფასობდა, ამჯერად კი, მისმა ფასმა ნახევარი მილიონით მოიმატა და ახლა შტურმის ქართველი ლეგიონერი 2 მილიონი ღირს.

ავსტრიული გამოცემები ადგილობრივი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებზე წერს და კიტეიშვილიც არის ნახსენები. სტატიაში ვკითხულობთ, რომ ქართველმა პროგრესი თუ გააგრძელა, მისი შტურმში დარჩენა წარმოუდგენელი იქნება.

– კიტეიშვილი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც საუკეთესოების სიაში ადგილს ვუნახავთ და ვიმედოვნებთ, ქართველის თამაში შტურმისთვის ქულების მომტანი იქნება. სადებიუტო სეზონში კიტეიშვილს რთული პერიოდები ჰქონდა, მაგრამ ახლა შტურმისთვის შეუცვლელი მოთამაშეა. ასე თუ გაგრძელდა გაზაფხულზეც, ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს კიტეიშვილის ბუნდესლიგაში დარჩენა შეუძლებელი იქნება.

ვნახოთ, როგორ განვითარდება კიტეიშვილის მომავალი...

საქართველო 90-იანებშია

ფიფამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოს ნაკრები, ნოემბრის თვის მსგავსად, 91-ე ადგილზეა. ვლადიმირ ვაისის გაწვრთნილ ნაკრებს 1.267 ქულა აქვს. აღსანიშნავია, რომ ფიფას სანაკრებო რეიტინგის შექმნიდან დღემდე, საქართველოს ნაკრების საშუალო პოზიციაც 91-ე გახლავთ.

ცნობისთვის, ზუსტად ერთი წლის წინ, საქართველო 89-ე ადგილზე იყო.

ახლა ვნახოთ ერთა ლიგაზე საქართველოს ნაკრების მეტოქეების რეიტინგი: ჩრდილოეთ მაკედონია 1.347 ქულით 68-ე ადგილზეა, ბელარუსს 1.270 ქულა აქვს და ეს 87-ე მაჩვენებელია, ხოლო ახალბედა კოსოვო 1.174 ქულით 115-ე ადგილზე იმყოფება.

საუკეთესო 10-ეული კი ასე გამოიყურება:

1.ბელგია – 1765 ქულა; 2.საფრანგეთი – 1.733; 3.ბრაზილია – 1.712; 4.ინგლისი – 1.661; 5.ურუგვაი – 1.645; 6.ხორვატია – 1.642; 7.პორტუგალია – 1.639; 8.ესპანეთი – 1.636; 9.არგენტინა – 1.623; 10.კოლუმბია – 1.622;

ფეხბურთი

18 დეკემბერი
ფეხბურთი

მსოფლიოს საჯუნიორო ჩემპიონატი

მონტერეი-ლივერპული 1:2

ინგლისის ლიგის თასი

ოქსფორდი-სიტი 1:3
ევერტონი-ლესტერი 2:2 (2:3პ)
მანჩესტერი-კოლჩესტერი 3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-ჰერტა 0:1
აინტრახტი-კიოლნი 2:4
გლადბახი-პადერბორნი 2:0
ვოლფსბურგი-შალკე 1:1
ფრაიბურგი-ბაიერნი 1:3

სატუნირო ცხრილი:

1.ლაიფციგი	16	10	4	2	44-19	34
2.გლადბახი	16	11	1	4	33-18	34
3.ბაიერნი	16	9	3	4	44-22	30
4.დორტმუნდი	16	8	6	2	40-22	30
5.შალკე	16	8	5	3	27-19	29
6.ფრაიბურგი	16	7	4	5	25-21	25
7.ლევერკუზენი	15	7	4	5	22-21	25
8.ვოლფსბურგი	16	6	6	4	18-16	24
9.ჰოფენჰაიმი	16	7	3	6	23-27	24
10.აუგსბურგი	16	6	5	5	27-28	23
11.უნიონი	16	6	2	8	19-22	20
12.აინტრახტი	16	5	3	7	26-27	18
13.ჰერტა	16	5	3	8	22-29	18
14.მაინცი	16	6	0	10	25-38	18
15.კიოლნი	16	4	2	10	18-32	14
16.ვერდერი	16	3	5	8	23-40	14
17.ფორტუნა	16	3	3	10	16-35	12
18.პადერბორნი	16	2	3	11	18-35	9

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბარსელონა-რეალი 0:0

სატუნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	17	11	3	3	43-20	36
2.რეალი	17	10	6	1	33-12	36
3.სევილია	17	9	4	4	21-17	31
4.ხეტაფე	17	8	6	3	26-16	30
5.ატლეტიკო	17	7	8	2	18-10	29
6.სოსიედადი	17	8	4	5	28-20	27
7.ბილბაო	17	7	6	4	19-12	27
8.ვალენსია	17	7	6	4	27-24	27
9.გრანადა	17	7	3	7	24-22	24
10.ოსასუნა	17	5	8	4	22-20	23
11.ლევანტე	17	7	2	8	22-26	23
12.ბეტისი	17	6	5	6	24-29	23
13.ვილიარეალი	17	6	4	7	30-25	22
14.ვალიადოლიდი	17	4	7	6	14-20	19
15.ალავესი	17	5	4	8	18-24	19
16.ეიბარი	17	4	4	9	15-28	16
17.მალიორკა	17	4	3	10	18-31	15
18.სელტა	17	3	5	9	14-25	14
19.ლეგანესი	17	2	4	11	12-28	10
20.ესპანიოლი	17	2	4	11	12-32	10

იტალია. სერია ა

სამდორია-იუვენტუსი 1:2
ბრეშა-სასუოლო 0:2

სატუნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	17	13	3	1	31-17	42
2.ინტერი	16	12	3	1	32-14	39
3.ლაციო	16	11	3	2	38-16	36
4.რომა	16	9	5	2	29-16	32
5.კალიარი	16	8	5	3	32-21	29
6.ატალანტა	16	8	4	4	38-25	28
7.პარმა	16	7	3	6	23-19	24
8.ნაპოლი	16	5	6	5	25-21	21
9.ტორინო	16	6	3	7	21-24	21
10.მილანი	16	6	3	7	16-19	21
11.სასუოლო	16	5	4	7	28-27	19
12.ბოლონია	16	5	4	7	25-27	19
13.ვერონა	16	5	4	7	17-20	19
14.ფიორენტინა	16	4	5	7	20-24	17
15.ლეჩე	16	3	6	7	20-31	15
16.სამპდორია	17	4	3	10	14-27	15
17.უდინეზე	16	4	3	9	11-27	15
18.ბრეშა	16	4	1	11	13-28	13
19.ჯენოა	16	2	5	9	17-31	11
20.სპალი	16	2	3	13	10-25	9

საფრანგეთი. ლიგის თასი

ლიონი-ტულუზა 4:1
ამიენი-რენი 3:2
ბრესტი-ბორდო 2:0
ლე მანი-პსჟ 1:4
ნანტი-სტრასბური 0:1
ნიმი-სტ.ეტიენი 1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცი უცნობი ქალის ბეჭდის მოსაძებნად ნაგვის კონტეინერში ჩაძვრა

ქალაქის უტილიზაციის სამსახურის თანამშრომელმა მთელი ნაგვის კონტეინერი გადაქექა იმისთვის, რომ უცნობი ქალის მიერ შემთხვევით ნაგავში გადაგდებული საქორწინო ბეჭედი ეპოვა.

ამერიკის ნებრასკას შტატის მკვიდრმა ალექს ფრეიზერმა ნარჩენების დამახარისხებელ პუნქტში დარეკა თხოვნით, რომ იქნებ მისი შემთხვევით გადაგდებული საქორწინო ბეჭედი მოეძებნათ.

– ეს უჩვეულო თხოვნა იყო, მაგრამ დავინტერესდი, შევძლებდი თუ არა ნაგვის საამქროში მოხვედრას და იქ ჩემი ბეჭდის მოძებნას, – განაცხადა ქალმა.

საწარმოს თანამშრომელმა რაიან ბეკერმა ქალის დახმარების სურვილი გამოთქვა და ნარჩენებით სავსე კონტეინერში ჩაძვრა.

– კონტეინერში ჩავძვერი და ნელ-ნელა და ყურადღებით დავიწყე ნაგვის თვალიერება, – ყვება ბეკერი. მას დაახლოებით ათი წუთი დასჭირდა ბეჭდის საპოვნელად.

– მე მისი დიდი მადლობელი ვარ იმისთვის, რომ მან საკუთარი დრო არ დაინანა და დამეხმარა, – განაცხადა ბეჭდის პოვნით გაბედნიერებულმა ფრეიზერმა.

ყაზახი ბოდიბილდერი სექსთოჯინაზე დაქორწინებას აპირებს

ყაზახ ბოდიბილდერს სექსთოჯინა შეუყვარდა და მასზე დაქორწინებას აპირებს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

ყაზახეთის მკვიდრმა იური ტოლოჩკომ თავისი შეყვარებული ბარში „გაიცნო“. მისი თქმით, მან ის ახალგაზრდა მამაკაცისგან გადაარჩინა, რომელიც მას უღირსად ექცეოდა. ტოლოჩკომ თოჯინას მარგო დაარქვა.

ყაზახი ბოდიბილდერი თოჯინას ისე ეპყრობა, როგორც ნამდვილ ქალს და მასთან პაემანზე დადის. მას მარგოს სახელით ინსტაგრამში გვერდიც კი აქვს გახსნილი. ტოლოჩკოს თქმით, მან შეყვარებულს „პლასტიკური ოპერაცია“ აჩუქა.

მამაკაცი ამტკიცებს, რომ თოჯინას ოფიციანტად მუშაობა სურს. ის ასევე წუხს, რომ მარგოს ლაპარაკი და სადილის მომზადება არ შეუძლია.

მიუხედავად თოჯინის ასეთი ნაკლისა, ერთად ცხოვრების რვა თვის შემდეგ ტოლოჩკომ მასზე დაქორწინება გადაწყვიტა. მას ქორწილის თარიღი ჯერ არ შეურჩევია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რვა ბავშვის უმუშევარი მამა აზარტულმა თამაშებმა გაიტაცა და გამილიონერდა



დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა აზარტული თამაშების წყალობით 3,75 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო.

ოქტომბრის დასაწყისში რვა ბავშვის უმუშევარმა მამამ 30 წლის ტომას როშმა სათამაშო ვებ-გვერდზე 60 ფუნტ სტერლინგი დახარჯა და მილიონერი გახდა. მან შუაღამისას მეზობლები გააღვიძა, რათა მათთვის საკუთარი გამარჯვება ეხარებინა.

– თავიდან მხოლოდ 16 ფუნტი მოვიგე, მაგრამ შემდეგ მცირე ხნით კომპიუტერს მოვწყდი, დავბრუნდი და ეკრანზე უკვე ჯეკპოტი ეწერა, – იხსენებს ბრიტანელი, – საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი და ბანკის წარმომადგენლებს დავურეკე, რათა მათ ჩემ ანგარიშზე არსებული თანხა დაედასტურებინათ. პრიზი მართლაც ჩემი აღმოჩნდა.

მოგებული ფულით როშმა და მისმა მეუღლე შელიმ უკვე შეიძინეს ხუთი მანქანა და კვადროციკლი. ახლა კი მრავალშვილიანი ოჯახი ღარიბებისთვის განკუთვნილი მუნიციპალური საცხოვრებლიდან ექვსსაძინებლიან და საჯინიბოიან სახლში გადადის, რომელიც კენტის საგრაფოს ქალაქ დუვრის მახლობლად მდებარეობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრისა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ პროფესორ იზოლდა ჭილაძეს ძმის

ავთანდილ ჭილაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოოიდი ბ



შვეულად: 1. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 2. ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი მამაკაცი; 3. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ზოლი; 5. ფინელი იუმორისტი მწერალი; 6. ტყავის დასამუშავებელი საამქრო ძველად; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ზონა; 10. ტრაგედია „რომეო და ჯულიეტას“ პერსონაჟი; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 15. ნახატი ზღვის ხედით; 16. კომბინაცია პოკერში.

თარაზულად: 1. ოჯახის მფარველი ღვთაება ძველ რომში; 4. დედამიწის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 7. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 9. აეროპორტი პეკინში; 11. პოპულარული ბაზარი ბარსელონაში; 12. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 13. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 18. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. საახალწლო ტკბილეული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყავა; 2. შაშხი; 3. არიეტა; 5. ხრამი; 6. ლანჩხუთი; 8. კომპრომისი; 10. ვივიენი; 12. ცენზორი; 14. ორტეგა; 15. სოფიტი; 16. ლვოვი.

თარაზულად: 1. ყურუში; 4. თხუნელა; 8. ბუშელი; 9. ტორინო; 11. ამფიბია; 12. ცუცხვათი; 13. პიარნუ; 17. ბაროკო; 18. პინო; 19. ორიფლეიმი; 20. ტიტიკაკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პერესი; 2. თოიძე; 3. უსიერი; 4. სკოპიე; 6. გუდაუთა; 9. გუელი; 11. ბორუსია; 15. ამარკორდი; 16. ოაზისი; 17. ნუვორიში; 19. ოლსტერი; 21. კაპრალი; 22. ბეშუმი.

თარაზულად: 5. ვერდილიო; 7. ურთხელი; 8. თოფაძე; 10. წურბელა; 12. იუანი; 13. წნორი; 14. ბალკანეთი; 18. წრუტო; 20. ხანუკა; 23. ნესკრა; 24. პუმა; 25. პასივი; 26. მუდო; 27. პლანერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9043

ევრო — 3.2332

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8043

100 რუსული რუბლი — 4.6421

ამინდის პროგნოზი 20 დეკემბერი



17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები

ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

„შინდისი“ ოსკარის მოკლე ნუსხაში ვერ მოხვდა

რეჟისორ დიმიტრი ცინცაძის ფილმი „შინდისი“ ოსკარის მოკლე ნუსხაში ვერ მოხვდა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომზე გადაღებული ფილმი ნამდვილ ამბავზეა დაფუძნებული.

ამერიკის კინოაკადემიამ იმ ფილმების მოკლე ნუსხა გამოაქვეყნა, რომლებიც „ოსკარის“ მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

მოკლე ნუსხაში არ არის ლევან აკინის ქართულ-შვედური ფილმი „და ჩვენ ვიცეკვეთ“, რომელიც ოსკარზე შვედეთმა წარადგინა.

სუხიშვილები სტუდენტებისთვის უფასოდ იცეკვებენ

ანსამბლ „სუხიშვილების“ ახალი თაობა 20 დეკემბერს სტუდენტებისთვის უფასოდ იცეკვებს.

„არც ერთი წამი ცეკვის გარეშე“ – ასეთია კონცერტის ლოზუნგი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში ჩატარდება.

კონცერტის ორგანიზატორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტია.

კონცერტზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ავსტრალიელმა მოდელმა საკუთარი ეროტიკული ფოტო გამოაქვეყნა



ავსტრალიელმა მოდელმა ბრიჯიტ მალკოლმა, რომელიც ცნობადი სახე მას შემდეგ გახდა, ვიქტორია სიქრეთსის საცვლების ჩვენებაში რომ მიიღო მონაწილეობა, ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც წელს ზევით სრულიად შიშველია აღბეჭდილი.

ფოტოზე 28 წლის მალკოლმი საკუთარ თავს სურათს სააბაზანო ოთახის სარკეში სმარტფონით უღებს. მას მხოლოდ მაღალწელიანი თეთრი ტრუსიკი აცვია და შიშველ მკერდს ხელებით იფარავს.

სოციალურ ქსელში მისმა ხელმომწერებმა მოდელის ახალი ფოტო მოიწონეს, რაზეც 11 ათასზე მეტი მოწონებაც მეტყველებს.

– შენ გარეგნულადაც ისევე უმშვენიერესი ხარ, როგორც შინაგანად, – დაწერა საკუთარ კომენტარში ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– როგორი ლამაზი და სექსუალური ხარ, – აღნიშნა მეორემ.

– ბრწყინვალე სხეული გაქვს, – საკუთარი აღფრთოვანება გამოხატა მესამემ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 დეკემბრისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი კვლავ დაქვეითებულია. ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. იკვებეთ სწორად. **კურო** – ნუ გადაიღლებით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას ერიდეთ. **ტყუპები** – საკუთარ შეცდომებს დაუკვირდით და გააანალიზეთ. დაეხმარეთ გაჭირვებულებს. **კირჩხიბი** – თქვენს სულიერ სიმშვიდეს არაფერი არღვევს. სერიოზული საქმით დაკავდით. **ლომი** – საკუთარ ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ახლობელ ადამიანთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება, რომელშიც თქვენც ჩაერთვებით. ნუ იაქტიურებთ. **სასწორი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. ერიდეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. **ღრიანკალი** – შემოქმედებით საქმიანობაში გიმართლებთ. იყავით მიზანდასახული და აქტიური. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. გიმართლებთ როგორც სიყვარულში, ისე კარიერაში. ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **თხის რქა** – თქვენს თავშეკავებასა და წინდახედულობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეცადეთ, სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. **მერწყული** – კარგად გამოიძინეთ, დაისვენეთ. სუფთა ჰაერზე სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **თევზები** – გაითვალისწინეთ გამოცდილი სპეციალისტის რჩევები. პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების რისკი დიდია.

გისუფევთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ბაღის პატრონმა პატარა ბიჭი დაიჭირა, რომელიც ვაშლს ჰპარავდა და ეუბნება:

– მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ქურდობა!

– მაჩვენე, რა, ბიძია, თორემ უკვე მესამედ ჩავვარდი...

•••

ქალი კაცს ეკითხება:

– თქვენ, მამაკაცები, რატომ ვერ იგებთ, რა გვსურს ქალებს?

– და თქვენ თუ იცით, რა გვსურს კაცებს?

– რა თქმა უნდა!

– მერე, რატომ არ აკეთებთ?

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, თუ გახსოვს, სხეული რომ ცხელდება, ფართოვდება.

– მახსოვს და მერე რა?

– რა და მე მსუქანი კი არა, უბრალოდ, ძალიან მხურვალე ვარ...

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– ნახე, ვარსკვლავი ჩამოვარდა, ჩქარა რამე ჩაიფიქრე.

– მინდა, რომ დავქორწინდეთ.

– ვაი, შეხედე, ისევ თავის ადგილზე აფრინდა!!!

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– გეპატიჟებით რომანტიკულ ვახშამზე, რომელიც შემდეგ ნელ-ნელა საუზმეში გადაიზრდება!

– თქვენ რა, გააფრინეთ?! მთელი ღამე ჭამაში უნდა გავატაროთ?!

•••

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, გაკვეთილები მოამზადე?

– არა.

– მაშინ, რატომ დაწექი დასაძინებლად?

– რაც უფრო ნაკლები იცი, უფრო მშვიდად გძინავს!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, სამოთხეში ქალები და კაცები ცალ-ცალკე არიან?

– რაღა თქმა უნდა, თორემ მაშინ ის რაღა სამოთხე იქნება!

•••

დაწესებულების ხელმძღვანელი სამსახურში მიღების მსურველს ეუბნება:

– რეზიუმეში მითითებული გაქვთ, რომ გეები არ გიყვართ.

– არა, უფრო მათ არ ვუყვარვარ.

– ჩვენთვის მიუღებელი ხართ.

– აი, ხომ ხედავთ, სწორედ მასე დავწერე.

ერნესტო ვალვერდემ თავისი გუნდი გააკრიტიკა

ბარსელონას და რეალის დაპირისპირება ფრედ 0:0 დასრულდა.

ეს იყო პირველი შემთხვევა 2002 წლის შემდეგ, როდესაც ამ გუნდების დაპირისპირებაში გოლი არ გავიდა.

მატჩის შემდეგ ბარსელონას მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ ბარსელონამ ვერ შეძლო სათანადო დონეზე თამაში:

– რეალმა კარგად ითამაშა და მათ სივრცეები გადაგვიკეტეს, რის გამოც ბურთს სწრაფად ვერ ვამოძრავებდით. ბარსას უფრო მეტი მოეთხოვება. ვფიქრობ, რომ ფრე სამართლიანი შედეგი იყო, რადგან წაგება არც ერთ გუნდს არ დაუმსახურებია.

ლივერპული საკლუბო ჩემპიონატის ფინალში ფლამენგოს შეხვდება

ლივერპულმა მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალში მექსიკური მონტერეი დაამარცხა 2:1 და ფინალში გავიდა.

ლივერპულმა გამარჯვების გოლი ბოლო წუთზე გაიტანა. ეს რობერტო ფირმინომ გააკეთა. ფინალში ლივერპული ბრაზილიურ ფლამენგოს დაუპირისპირდება, რომელმაც ერთი თვის წინ ლიბერტადორესის თასი მოიგო.

ფინალური შეხვედრა 21 დეკემბერს გაიმართება და ლივერპული ამ წყვილის აშკარა ფავორიტად ითვლება.

ლეროი სანე სიტიდან წასვლას აპირებს

მანჩესტერ სიტის გერმანელ შემტევს ლეროი სანეს გუნდიდან წასვლა სურს და შესაძლოა ეს უკვე იანვარში მოხდეს.

სანე უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ის მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. გარდა ამისა, სანეს სამშობლოში სურს დაბრუნება და მის მიმართ ბაიერნი იჩენს ინტერესს. ბაიერნს ზაფხულშიც სურდა სანეს შეძენა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი სანეს ტრავმის გამო ჩაიშალა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

„მხოლოდ ქართულს“ პირველ ტურში თორნიკე აბრამიშვილი გამოეთიშა

მუსიკალურმა შოუმ „მხოლოდ ქართული“ ახალი, რიგით მესამე სეზონი დაიწყო.

გრანდიოზული გახსნა კაჭრეთში შედგა და მისი საპატიო სტუმარი ნანი ბრეგვაძე იყო. კომპოზიტორ გია ყანჩელისადმი მიძღვნილი საკონკურსო ტური სწორედ ნანი ბრეგვაძემ გახსნა და ყანჩელის „ის აქ არის“ შეასრულა.

კონკურსანტებმა კი კომპოზიტორის სხვადასხვა ცნობილი სიმღერები ეროვნული სიმფონიური ორკესტრის თანხლებით შეასრულეს, რომელსაც ნიკოლოზ რაჭველი დირიჟორობდა.

„მხოლოდ ქართულის“ წამყვანები არიან ვანიკო თარხნიშვილი, ნიკა გრიგოლია და ილო ბეროშვილი.

მუსიკალური პროექტის მესამე სეზონის ხუთკაციანი ჟიურის წევრები არიან ლელა წურწუმია, გიორგი გაბუნია, სტეფანე, სოფო ნიჟარაძე და გიორგი უშიკიშვილი. რაც შეეხება მარინა ბერიძეს, იგი ჟიურის წევრი აღარ არის და „მხოლოდ ქართულის“ მუსიკალური პროდიუსერია.

კონკურსანტებმა სიმღერების შესრულების შემდეგ, ჟიურისგან რჩევები და შეფასებები მიიღეს. კონცერტის ბოლოს კი მაყურებლის მიერ მიცემული ხმები გადაინაწილეს. ყველაზე მეტი, უმაღლესი 50 ქულა მიიღო ნინი შონიამ, 45 ქულა – თამთა ხუხუნაიშვილმა, 40 ქულა – ლაშა ნანობაშვილმა, 35 ქულა – ნიკა შუბითიძემ, 30 ქულა – ლუკა ჭოხონელიძემ, 25 ქულა – გიორგი ძოწენიძემ, 20 ქულა – ანა ქურთუბაძემ, 15 ქულა – ლიკა ლოლომაძემ, 10 ქულა – მარიამ მახათაძემ და ყველაზე ცოტა – 5 ქულა თორნიკე აბრამიშვილს მიენიჭა, რომელმაც „მხოლოდ ქართული“ დატოვა.

მუსიკალური შოუს მესამე სეზონზე 8 საკონკურსო ტური ჩატარდება და გამარჯვებულიც მხოლოდ ამის შემდეგ დასახელდება.

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 2. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 3. ფრანგულ კოსმოსურ ხომალდთა სერია; 4. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა; 6. უნგრული წვნიანი კერძი; 9. ლირიკული სიუჟეტის ზანგური სასიმღერო და საცეკვაო მუსიკა; 11. ჩინელი ფილოსოფოსი; 15. დედამიწის ქერქი, მტკიცე გარსი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მსოფლიოში მოპოვებული ყველაზე დიდი ბუნებრივი ალმასი; 19. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 21. მსოფლმხედველობა, რწმენა; 22. ძველებური სატუსაღო.

თარაზულად: 5. ესპანეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 7. ძალიან იშვიათი ნივთი; 8. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. ენის ანთება; 12. აზროვნების ორგანო; 13. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 14. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 18. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 20. ეთიოპიის მმართველთა ტიტული; 23. ბელორუსიის დედაქალაქი; 24. პატარა ბუ; 25. ქვევრის ღვინოში არსებული მრთიმლავი ნივთიერება; 26. ქალაქი შიდა ქართლში; 27. სასამართლოს მსაჯული ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა